ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 19 აპრილი, 2016 — №92 (7018) — ფასი: 50 თეთრი

## სააკაშვილი ბოკერიას წინააღმდეგ




გვ.5

დიდი დაპირისპირება ნაციონალებში

19 აპრილიდან
ერიხ მარია რემარკი
სამი მეგობარი
ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



# გია ბარამიძე შეიძლება დააპატიმრონ



გვ.4

დოდო აფრასიძე: „ეგ დიდი ხნის წინ უნდა დაეჭირათ“



## ფინანსთა სამინისტროსთან ნოდარ ხადურს შემოულაწუნეს



გვ.2

შემოსავლების სამსახური განმარტებას აკეთებს





გვ.2

„პარლამენტში ჩემითაც მოვხვდები“

## თამაზ მეჭიაური: „არ მინდა, დეპუტატობა ვინმემ დამამადლოს“



გვ.3

„კოაბიტაციით ბევრი ადამიანი მოვიმდურეთ“

## გიგა ბუკია: „პრეზიდენტის მოქმედება ადეკვატური არ არის“

„დაკავებულები პენსიონერები არიან“



გვ.3

## სუს-მა ურანის გასაღების ფაქტზე 6 პირი დააკავა

ISSN 1987-9385

## კახა კუკავა: „პრეზიდენტმა და პრემიერმა შეცდომა დაუშვეს“



გვ.4

„არჩევნები ოქტომბრის ბოლოს უნდა ჩატარდეს“



გვ.3

## რა კავშირი აქვს ირაკლი სესიაშვილს წინანდლის ღვინის ქარხნის თანამშრომლების ცემასთან?

## ბაჩუკი ქარდავა: „ქუჩებში ქვებით სირბილს არ ვაპირებთ, მაგრამ ბრძოლა გაგრძელდება“



გვ.5

„8 ოქტომბერი ოპოზიციისთვის გამოწვევაა და ჩვენ ვილებთ ამ გამოწვევას“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# თამაზ მეჭიაური: „არ მინდა, დეპუტატობა ვინმემ დამამადლოს“

## „პარლამენტში ჩემითაც მოვხვდები“

შორენა მარსაგიშვილი

როგორ აკომპლექტებს „ქართული ოცნება“ საარჩევნო სიას, ვისთან აპირებს თანამშრომლობას, უნდა შეინარჩუნონ თუ არა პოსტები რესპუბლიკელმა მინისტრებმა? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი თამაზ მეჭიაური ესაუბრება.



**თამაზ მეჭიაური:**

— რესპუბლიკელებმა განაცხადეს, რომ არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებენ მონაწილეობას. ამ დროს მათი წარმომადგენლები მთავრობაში მინისტრის პოსტებს ინარჩუნებენ. ეს სიტუაცია გვაგონებს, ერთ ცხენზე როგორ უნდა დასვა ერეკლე მეორე და კოხტა ბელადი. ამ ეტაპზე ვერ გეტყვით, ცხენი გადმოაგდებს თუ არა კოხტას.

***— არის იმის ალბათობა, რომ ცხენმა კოხტა არ გადმოაგდოს და რესპუბლიკელებთან ერთად კვლავაც კოალიციურ რეჟიმში მიიღოთ მონაწილეობა?***

— არა მგონია, ასე მოხდეს. მე პირადად ძალიან მიჭირს ამის წარმოდგენა. ერეკლე და კოხტა ბელადი ერთად ვერ იქნებიან, გამორიცხულია.

***— ბევრი მითქმა-მოთქმა მიდის იმაზე, ვისთან ითანამშრომლებს მომავალ პარლამენტში „ქართული ოცნება“. ამბობენ იმასაც, რომ შესაძლოა თქვენს პარტიულ სიაში მრეწველების წარმომადგენლებიც იყვნენ. ამასთან დაკავშირებით რისი თქმა შეგიძლიათ?***

— ამასთან დაკავშირებით მე ჩემი მოსაზრება მაქვს, მაგრამ საარჩევნო სიის ფორმირებაში საბოლოო გადაწყვეტილება უმრავლესობის მიერ იქნება მიღებული. ასევე უმრავლესობა გადაწყვეტს, ვისთან ითანამშრომლებს „ქართული ოცნება“ მომავალ პარლამენტში.

***— პირადად თქვენ რომელ პარტიასთან ითანამშრომლებდით?***

— ყველა იმ ძალასთან ვითანამშრომლებდი, ვისაც საქართველოს მოსახლეობა აირჩევდა. მე ჩვენი ამომრჩევლის აზრს პატივს ვცემ და მზად ვარ, იგივე გამოვხატო მის არჩევანთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, ერთ აზრზე ვართ თუ არა მე და ამომრჩეველი. აქ მთავარი მოსახლეობის ნებაა.

### „ერეკლე მეორე და კოხტა ბელადი ერთ ცხენზე ვერ იქნებიან“

***— ხმის მიმცემები ნაციონალებსაც ეყოლებათ. მათთანაც ითანამშრომლებთ?***

— ხალხი დიდი დოზით თუ აირჩევს ნაციონალებს, რაღაც საკითხებში მათთანაც შეიძლება თანამშრომლობა. როცა თანამშრომლობას ვამბობ, მხედველობაში კოალიციურ რეჟიმზე გადასვლა არ მაქვს. არის საკითხები, რომლებზეც ყველასთან შეიძლება თანამშრომლობა.

***— რა საკითხია ისეთი, რომელიც ნაციონალებთან თანამშრომლობისკენ გიბიძგებთ?***

— ერთნაირ სქესიანთა ქორწინების ამბავში თანამშრომლობას წინ არაფერი უდგას. ნაციონალები თუ იტყვიან, რომ მხარს უჭერენ ჩანაწერს, რომლის თანახმადაც ქორწინება ქალის და კაცის ერთობაა, ამას ღიად და საჯაროდ მივესალმები.

***— რადგან ნაციონალებზე ვსაუბრობთ, მათ მიერ ბოლო დროს გაკეთებულ განცხადებებზე რას იტყვით? თქვენი კოლეგა ნუგზარ წიკლაური ამბობს, რომ ისინი აღადგენენ სამართლიანობას.***

— სამართლიანობის აღდგენის საქმე კარგად რომ არ მიდის, ეს არის სამწუხარო ფაქტი. ჩვენ თავის დროზე ყველაფრისთვის თავისი სახელი რომ დაგვერქმია, ვერც ნუგზარ წიკლაური და ვერც სხვა ნაციონალები ამ თემაზე საუბარს ვერ გაბედავდნენ. ამ მიმართულებით სერიოზული შეცდომა დავუშვით და ახლა მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებზე ჩვენ ვიმართლებთ თავს.

ყველამ იცის, რომ ფარული და უკანონო ჩანაწერების გაკეთებით ისინი იყვნენ დაკავებული. ყოფილ ხელისუფლებას ამ მიმართულებით მთელი ინდუსტრია ჰქონდა შექმნილი. ამაზეც კი ჩვენ ვიმართლებთ თავს, რაც პირადად ჩემთვის არის სამარცხვინო.

***— მედიაში უკვე ვრცელდება რაღაც ინფორმაციები თქვენი სიის სავარაუდო შემადგენლობასთან დაკავშირებით. ამაზე რას გვეტყვით?***

— სანამ საბოლოო ვარიანტი არ გამოქვეყნდება, საარჩევნო სიის გარშემო უამრავი ინფორმაცია გავრცელდება. ძალიან მალე გავიგებთ, ვინ მოხვდება ამ სიაში.

***— ითქვა ისიც, „ქართული ოცნების“ სიაში მეჭიაური არ იქნებაო. ამაზე რას გვეტყვით?***

— ჩემთვის სიაში მოხვედრა არ არის მთავარი. მე პრინციპებს უფრო დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ამასთან, ჩემი სიაში მოხვედრა მხოლოდ იმ ხალხზე არაა დამოკიდებული, ვინც ამ სიას ადგენს.

***— აბა, კიდევ ვისზეა დამოკიდებული?***

— ჩემზე. სიაში მოსახვედრად ჩემი თანხმობაც არის საჭირო. მე უნდა ვიცოდე, რა პრინციპის გარშემო ხდება ამ სიის შედგენა.

***— უკვე ორჯერ ახსენეთ პრინციპები და რა არის თქვენთვის მთავარი პრინციპი?***

— ეროვნული ინტერესები. თუ დავინახავ, რომ სია ისე დგება, რომ ვიღაცის მიერ თავსმოხვეული ინტერესები უნდა გავატაროთ, მაშინ იქ ყოფნა ჩემთვის მიუღებელი იქნება.

***— ვიღაცის ინტერესების გატარებაში რას გულისხმობთ?***

— არ არის გამორიცხული, ახლო მომავალში კარგად შეფუთული ინტერესები მოგვახვიონ გარედან თავს. იმედი მაქვს, რომ „ქართულ ოცნებაში“ ისეთი ხალხი მოხვდება, რომელიც პირველ ადგილზე ეროვნულ ინტერესებს დააყენებს და ევროპული არჩევანის პატივისცემაც იქნება. ზოგჯერ ჩვენი ოფიციალური განცხადებები ნაციონალების და არასამთავრობოების მოსაზრებებს ერთი ერთში ემთხვევა, რაც სასიამოვნო ნამდვილად არ არის.

***— ამ დამთხვევებს თქვენ რას მიაწერთ ან ვინ იღებს ასეთ გადაწყვეტილებებს?***

— არ ვიცი, რატომ ხდება ასეთი დამთხვევები. არ მინდა სიღრმეებში წავიდე. ვამბობ იმას, რაც გარედან ჩანს და ყველა ამჩნევს. ახლა მთავარ ამოცანად არჩევნების მშვიდ გარემოში ჩატარება მიმაჩნია. ისეთი არჩევნები უნდა ჩავატაროთ, რომ ყველას მიეცეს საკუთარი მოსაზრების გამოხატვის შესაძლებლობა.

ამის შედეგად მივიღებთ გადაწყვეტილებას, ვისთან და როგორ ვითანამშრომლებთ. პოლიტიკოსები ხალხის დაკვეთას უნდა ასრულებდნენ. გარედან თავსმოხვეული ინტერესების გატარება დაუშვებელია. სხვა მხრივ ყველა თემაზე სასაუბროდ მზად ვარ. ჩემთვის ტაბუდადებული თემები არ არსებობს და აზრსაც ყოველთვის ღიად ვაფიქსირებ.

***— ზემოთ თქვით, სიაში რომ ჩამწერონ, ჩემი სურვილიც უნდა იყოსო. ამასთან, ჟურნალისტებს უთხარით, რომ თქვენ დეპუტატი უნდა იყოთ. მაჟორიტარობას ხომ არ აპირებთ?***

— ჩემი მიზანი ის არის, რომ პრინციპები გავატარო, რომლებიც სწორად მიმაჩნია. ამისთვის ვთვლი, რომ დღეს ჩემი ყოფნა პარლამენტში არის საჭირო. შეიძლება ამბიციური განცხადებაა, მაგრამ ამას ჩემი სინდისიდან გამომდინარე ვაკეთებ. სია არსებობს მაჟორიტარული, დამოუკიდებელი, არის კიდევ სხვა სიები. არის უამრავი არჩევანი, რომელიც ადამიანს თვითონ უნდა ჰქონდეს და უნდა განსაზღვროს ისეთი ადგილი, რომელიც მის პრინციპებს დაუმადლებლად გაატარებინებს. ეს ჩემი გადასაწყვეტიც არის.

მე ყველა საშუალებით სიაში ყოფნა არ მხიბლავს. პარლამენტში მრავალი მოხვედრის გზა არსებობს სიის გარეშეც. არანაირი სურვილი მაქვს, დასამადლებელი მქონდეს მანდატი, როგორც ზოგიერთებს სურთ ხოლმე წარმოაჩინონ, რომ ვიღაცამ გაგიყვანა. ჩემითაც გავსულვარ არაერთხელ, ძალიან წყნარად და მშვიდად მომიგია.

***— ახლაც მოიგებთ არჩევნებს დამოუკიდებლად?***

— რატომაც არა. ამ ეტაპზე გადაწყვეტილი არ არის, რა ფორმით მივიღებ არჩევნებში მონაწილეობას. მთავარია, რომ პარლამენტში უნდა ვიყო.

# ფინანსთა სამინისტროსთან ნოდარ ხადურს შემოულაწუნეს

## შემოსავლების სამსახური განმარტებას აკეთებს

შორენა მარსაგიშვილი



არასამთავრობო ორგანიზაციამ „თავისუფალი თაობა“ დანაპირები შეასრულა და გუშინ, 18 აპრილს, ფინანსთა სამინისტროსთან აქცია გამართა.

ორგანიზაციის წევრებმა მანამდე ნოდარ ხადურს განმარტებები მოსთხოვეს.

— ოფიციალური ინფორმაციით, ხადურმა მილიარდზე მეტი ჩამოაწერა ბიზნესმენებს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ვინ არის ეს ხალხი. ჩვენ ეჭვი გვაქვს, რომ ისინი არიან ნაცბიზნესმენები, — განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ორგანიზაციის ლიდერმა ლადო სადღობელაშვილმა.

თავისი ეჭვების შესახებ მან ისაუბრა აქციაზეც, რომლის სახელწოდებაა „შემოულაწუნე ხადურს“.

როგორც სადღობელაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომლის მიხედვითაც, ნოდარ ხადური შეკრულია ნაცმოძრაობის კარის ბიზნესმენებთან და ე.წ „ატკატით“ ცდილობს საკუთარი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

„თავისუფალმა თაობამ“ სამინისტროში ოფიციალური წერილიც დაარეგისტრირა, რომელშიც, ორგანიზაციის წევრების განცხადებით, დიდი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, მოითხოვენ მეტ გამჭვირვალობას, იმ იურიდიულ პირთა ვინაობის გასაჯაროებას, ვისაც 2013-2015 წლებში საგადასახადო დავალიანება ჩამოეწერა და განემარტოთ მიზეზი, თუ რა პრინციპით იქნა შერჩეული და რა ვალდებულებები აიღეს საგადასახადო დავალიანებებისგან გათავისუფლებულმა კომპანიებმა.

სადღობელაშვილი აცხადებს, რომ აღნიშნულ წლებში ჩამოწერილმა საგადასახადო დავალიანებამ მილიარდ ლარზე მეტი შეადგინა.

აქციამ შედეგი ასე თუ ისე გამოიღო. შემოსავლების სამსახურმა „თავისუფალ თაობას“ და მის ხელმძღვანელ სადღობელაშვილს პასუხი გასცა.

როგორც ინტერპრესნიუსს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, აქციის მონაწილეების მიერ უსაფუძვლო და ცილისმწამებლური ბრალდებები გაისმა.




შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა საქართველოს კანონმდებლობით რეგულირდება. „საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა საქართველოს კანონმდებლობით რეგულირდება, კერძოდ, საგადასახადო დავალიანების ჩამოწერას ითვალისწინებს სსკ-ს 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, რომლის თანახმად, სსკ-ს 252-ე მუხლის მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით ჩამოწერას ექვემდებარება.

მათივე ცნობით, 2016 წლის 12 აპრილის მდგომარეობით საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე მიხედვით უკვე 18.864 გადასახადის გადამხდელს ჩამოეწერა საგადასახადო დავალიანება ჯამში 1.102.227.999 ლარი, მათ შორის: ა) ნაწილით – 10.927 გადამხდელს 1.092.150.230 ლარი, ბ) ნაწილით – 871 გადამხდელს 5.080.456 ლარი, გ) ნაწილით – 7.066 გადამხდელს 4.997.311 ლარი.

— ათასობით გადამხდელისათვის საგადასახადო დავალიანებების ჩამოწერა კანონის ნორმების სრული დაცვით განხორციელდა. ეს იმ გადამხდელთა კატეგორიაა, რომელსაც ბოლო წლების განმავლობაში არ უფიქსირდება ეკონომიკური საქმიანობა და ფაქტობრივად, აღნიშნული საგადასახადო ვალდებულებები სახელმწიფო ბიუჯეტისთვის უიმედო ვალად ითვლება.

რაც შეეხება იმ პირთა სიის გასაჯაროებას, ვისაც ჩამოეწერა საგადასახადო დავალიანება, განვმარტავთ, რომ სსკ-ს 39-ე მუხლის შესაბამისად, „საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა გადასახადის გადამხდელის სტატუსისა, სახელწოდებისა, მისამართისა, საიდენტიფიკაციო ნომრისა, საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაციისა და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული საჯარო ინფორმაციისა, მისი საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანის მომენტიდან განეკუთვნება საგადასახადო საიდუმლოებას, — აცხადებენ შემოსავლების სამსახურში.

* * *

მის პასუხს „თავისუფალ თაობაშიც“ გაეცნენ და კიდევ ერთხელ გამოხატეს უკმაყოფილება. ისინი პირობას დებენ, რომ მაინც გაიგებენ, ვის ჩამოაწერა ხადურმა ფული.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიგა ბუკია: „პრეზიდენტის მოქმედება ადეკვატური არ არის“

## „კოაბიტაციით ბევრი ადამიანი მოვიმდურეთ“

მარიამ მჭედლიშვილი

ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე არ არის გადაწყვეტილი, თუ როგორ შეიცვლება საარჩევნო გარემო. გარდა ამისა, ჯერ კიდევ უცნობია, როდის დაიწყება საარჩევნო კამპანია. პრეზიდენტის გათვლით, ეს კამპანია 8 მაისს უნდა დაიწყოს, პრემიერის მოსაზრებით კი – 8 ივლისს. პარლამენტის უმრავლესობის წევრი, ფრაქცია „კონსერვატორების“ თავმჯდომარე გიგა ბუკია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ საარჩევნო კამპანიის დასაწყებად სწორი ვადა 8 ივლისია.

**გიგა ბუკია:**

– პრეზიდენტმა 8 ოქტომბერი არჩევნების დღედ დაასახელა შეთანხმების შედეგად. მას მხოლოდ ეს რიცხვი უნდა დაესახელებინა და არ ეფიქრა განკარგულებების საჩქაროდ გამოცემაზე. სამწუხაროდ, პრეზიდენტი ჯიბრში ჩადგა. მისი მოქმედებები ადეკვატურად ვერ ჩაითვლება.

***– პრეზიდენტის მოსაზრებით, სამართლიანობა მოითხოვს, რომ პარტიებს მეტი დრო და საშუალება ჰქონდეთ საარჩევნო კამპანიისთვის.***

– კონსერვატორებმა შევისწავლეთ ევროპის 15 სახელმწიფოს გამოცდილება. არსად საარჩევნო კამპანია არ იწყება არჩევნებამდე 5 თვით ადრე. ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში საამისოდ გამოყოფილია თვე ან თვენახევარი, მხოლოდ ერთ სახელმწიფოშია 3 თვე. ევროპული სტანდარტებითაც კი პრემიერის წინადადება საუკეთესო და დემოკრატიულია. ეს გაუგებარს ხდის პრეზიდენტის მიერ გამოთქმულ სხვა პოზიციას.

მთავარია, პარტიებმა არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე იცოდნენ არჩევნების თარიღი. ეს მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი არ არის, მაგრამ პარტიებისთვის სასიცოცხლოა. ჩვენ რომ ვიყავით ოპოზიციაში, ყოველთვის ცუდ სიტუაციაში გვაყენებდნენ იმის გამო, რომ არ აცხადებდნენ არჩევნების გამართვის დღეს. ახლა ასე აღარაა.

***– მოსალოდნელია თუ არა, რომ ამ დაძაბული არჩევნების წინ გამწვავდეს დაპირისპირება ლიბერალური და კონსერვატიული იდეოლოგიების მიმდევარ ძალებს შორის? ბოლო წლებში ქვეყანაში ამ მხრივ რადიკალიზაცია შეინიშნება.***

– არ ვიტყოდი, რომ იდეოლოგიური დაპირისპირება მხოლოდ საქართველოშია. ევროპაში არიან კონსერვატორებიც, ლიბერალებიც და სოციალისტებიც. მათ შორის უთანხმოება მუდმივი პროცესია. საქართველო არ არის გამონაკლისი. საარჩევნოდ უთანხმოებები მძაფრდება. ამომრჩეველი აკეთებს არჩევანს შეხედულებისამებრ. ევროპარლამენტში კონსერვატორების ფრაქციაში შედის 76 დეპუტატი 18 ქვეყნიდან. ეს ერთ-ერთი ძლიერი ფრაქციაა. მემარჯვენე-ცენტრისტულ პოზიციებს ბევრი მხარდამჭერი ჰყავს.



***– საერთო კონსერვატიულ-ტრადიციონალისტური შეხედულებები ხომ არ გახდა იმის მიზეზი, რომ ირაკლი ღარიბაშვილი თქვენთან დააკავშირეს? რამდენიმე დღის წინ გავრცელებული ინფორმაციით, ღარიბაშვილი რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად თქვენი პარტიის სიით იყრის კენჭს. პარტიაში ეს არ დაადასტურეს.***

– არ ვიცი, საიდან გავრცელდა ეს ინფორმაცია. პარტიული სია საერთო შეხედულებების საფუძველზე არ დგება. კონსერვატიული იდეოლოგიის მიმდევარი საქართველოში უამრავია, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. სულ სხვა რამეა პარტიული სია. ჩემი დიდი პიროვნული პატივისცემის მიუხედავად ირაკლი ღარიბაშვილის მიმართ, ვიტყვი, რომ პარტიული სია პარტიაში დგება და მასში პარტიის წევრები შედიან.

***– თქვენი გათვლით, ბევრი საარჩევნო ბლოკი შეიქმნება?***

– ჩემი აზრით, აქტიური პოლიტიკური ძალებისგან რამდენიმე საარჩევნო ბლოკი ჩამოყალიბდება. მოვიდა დრო, რომ პარტიები იდეოლოგიის საფუძველზე დაჯგუფდნენ. ეს ელექტორატისთვისაც უკეთესია და მონათესავე პარტიებისთვისაც, რომლებიც ერთმანეთს ასუსტებენ. იმედი მაქვს, რომ იდეოლოგიური გაერთიანებები მოხდება.

***– პირადად თქვენ კამათობთ ხოლმე კოლეგებთან ნაციონალური მოძრაობიდან, მაგრამ მოქალაქეების დიდი ნაწილი აცხადებს, რომ საპარლამენტო უმრავლესობა აღრმავებს კოაბიტაციას ნაცმოძრაობასთან. ეს თემა აქტუალური გახდა ენდიაის ბოლო კვლევების გამოქვეყნების შემდეგ.***

– დავიწყოთ ენდიაის კვლევებით. უმრავლესობის წარმომადგენლებმა მას უნდობლობა გამოვუცხადეთ. ამდენად, ამ კვლევის პოლიტიკური ნაწილი ვერ გახდება ბიძგი დასკვნებისა და მოვლენების განვითარებისთვის. ჩვენს პარტიას ამ ორგანიზაციამ 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინ 0,7 % დაუწერა. არჩევნებში ჩვენი შედეგი იყო 12% თბილისში და 10% ქვეყნის მასშტაბით.

ენდიაი გამოირჩევა იმით, რომ სიმართლესთან შერეულ ტყუილს ავრცელებს. ეს უფრო საშიშია. კოაბიტაცია, რაც თანაცხოვრებას ნიშნავს, ადრეც არ იყო ხალხის მოთხოვნა. ჩვენ ვიკისრეთ პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე, გამოვიჩინეთ გონიერება, მოთმინება და ნაციონალური მოძრაობის მიმართ ეს პოლიტიკა ავირჩიეთ. ამასთან, რამდენიმე მძიმე დანაშაულის ჩამდენი ლიდერი ამ პარტიიდან დააკავეს კანონის შესაბამისად.

სამწუხაროდ, ეს პარტია თავისი მოქმედებებით, გამონათქვამებით, რიტორიკით, მარილს აყრის იმ იარებს, რომლებიც საკუთარ მოქალაქეებს მიაყენა. ეს იწვევს ადამიანების დიდ გაღიზიანებას. კოაბიტაციით ჩვენ ბევრი მოქალაქე მოვიმდურეთ. ახლა გაღიზიანებამ იმატა, მაგრამ ხალხის მდგომარეობა მაშინ უნდა გვენახა, თუ ნაცმოძრაობა ქვეყნის მართვას გააგრძელებდა!

# სუს-მა ურანის გასაღების ფაქტზე 6 პირი დააკავა

## „დაკავებულები პენსიონერები არიან“

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის და სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბირთვული მასალისადმი უკანონო მოპყრობისა და გასაღების ფაქტზე დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: სომხეთის რესპუბლიკის 3 მოქალაქე და საქართველოს 3 მოქალაქე დააკავეს.



აღნიშნული პირები თბილისში, ბირთვული მასალა ურანის (U238) გასხვისებას 200 მილიონ აშშ დოლარად აპირებდნენ. ისინი დანაშაულის ჩადენის ფაქტზე დააკავეს.



დავით აბესაძე

დანაშაულში მონაწილე ერთ-ერთი პირის საცხოვრებელ ბინაში ამოღებულია ქარხნული წესით დამზადებული სატრანსპორტო კონტეინერი ბირთვული მასალაU238 (ურანი 238)-ით.

რადიოაქტიური (გამა) გამოსხივების დოზის სიმძლავრის და თვით წყაროს რაობის გათვალისწინებით, საქმეზე ჩატარებული რადიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ამოღებული ნივთიერება საშიშია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

გამოძიება ბირთვული მასალისადმი უკანონო მოპყრობისა და გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 230-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

16 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ექვსივე ბრალდებულს აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.



გიორგი ბახტურიანი

გამოძიებას აწარმოებს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველო.

* * *

– ურანის გასაღების მცდელობისთვის დაკავებულები პენსიონერები არიან. ყველა დაკავებული არის ხანდაზმული, პენსიონერი და არ მგონია, სახელმწიფოს ინტერესი იყოს მათი ციხეში ჩასმა, – ამის შესახებ ინტერპრესნიუსს დაკავებული ერთ-ერთი პირის, მუხტარ ცქიტიშვილის ადვოკატმა განუცხადა.

როგორც დავით აბესაძემ აღნიშნა, მუხტარ ცქიტიშვილი, რომლის სახლიდანაც ურანის ამოღება მოხდა, ამ ეტაპზე ბრალს არ აღიარებს.

– ამ ეტაპზე ოფიციალურად ბრალს არ აღიარებს, თუმცა შეიძლება საპროცესო შეთანხმება გაფორმდეს – ვნახოთ. ყველა დაკავებული არის ხანდაზმული, პენსიონერი და არ მგონია, სახელმწიფოს ინტერესი იყოს მათი ციხეში ჩასმა. საქმეს გრიფით „საიდუმლო“ არ ადევს, მაგრამ არ აქვს ჩვენება მიცემული და ხელს არავის ადებს, – განაცხადა აბესაძემ.

ადვოკატის ინფორმაციით, გამოძიების ვარაუდია, რომ აღნიშნული ნივთიერება სომხეთის მოქალაქეებმა ჩამოიტანეს, მაგრამ რა გზით მოხდა ეს, აღნიშნულის დადგენაზე მუშაობა მიმდინარეობს.

რაც შეეხება საქმის მასალებს, ადვოკატის თქმით, ის ჯერჯერობით მასალებს სრულად არ გაცნობია.

– ამოღებულია რაღაც კონტეინერი, რომელიც არის რადიაქტიული ნივთიერების შემცველი და სასამართლოს განჩინებით არის ჩატარებული ფარული ვიდეო გადაღება და სხვა მოქმედებები, არის საქმეში გარკვეული მტკიცებულებები, – განაცხადა აბესაძემ.

* * *

რადიაციული დაცვის სპეციალისტი გიორგი ბახტურიანი ამბობს, რომ სუს-ის მიერ ამოღებული ბირთვული მასალა ურანი საშიშია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, თუმცა ექსპერტიზის დასკვნით ირკვევა, რომ მასალის გამოსხივების დისტანცია 2 მეტრზე ნაკლებია.

ბახტურიანი ერთ-ერთია იმ სპეციალისტებს შორის, რომელიც რადიოლოგიური ექსპერტიზის პროცესში მონაწილეობდა.

**გიორგი ბახტურიანი:**

– ექსპერტიზით დადგინდა, რომ დაახლოებით ორ მეტრში არავითარი გამოსხივება არ ფიქსირდება. გამოსხივება უტოლდება ბუნებრივ ფონს, რომელიც ისედაც არის გარემოში. ასე რომ, ამ ნივთიერების გამოსხივება საფრთხეს ვერ შეუქმნიდა იმ ბინის გვერდით არსებულ ბინებში მყოფ ადამიანებს, სადაც აღნიშნული ნივთიერება ინახებოდა.

სიცოცხლისთვის საზიანო იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ 24 საათი იჯდები იმ ოთახში, სადაც ეს ნივთიერება იქნება, – განუცხადა „კვირას“ გიორგი ბახტურიანმა.

# რა კავშირი აქვს ირაკლი სესიაშვილს წინანდლის ღვინის ქარხნის თანამშრომლების ცემასთან?

წინანდლის ღვინის ქარხნის დირექტორი ალექსანდრე მეგუთნიშვილი პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ბრალდებებს უყენებს. როგორც მეგუთნიშვილმა „ტვ პირველის“ პირდაპირ ეთერში, „დღის ამბებში“ სტუმრობისას განაცხადა, ირაკლი სესიაშვილი მფარველობს ალექსანდრე საჩიშვილს, რომელიც 2008 წელს თელავის რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე იყო და მან ბოთლებით სცემა მეგუთნიშვილს და წინანადლის ღვინის მარნის თანამშრომლებს, რათა მისთვის სასურველი ჩვენება მიეცათ.



მეგუთნიშვილის თქმით, ალექსანდრე საჩიშვილი ამ ფაქტის შემდეგ თელავის გამგებლის მოადგილედ სწორედ ირაკლი სესიაშვილის მფარველობით დაინიშნა. სესიაშვილი და საჩიშვილი თელავში მეზობლები არიან.

– საჩიშვილი, რომელმაც ჩემი თანამშრომლები გალახა წყლით სავსე ბოთლებით იმიტომ, რომ ცრუ ჩვენება მოეპოვებინა, ვითომ მე გავლახე კუდის თანამშრომელი და დავუზიანე ავტომანქანა, დღეს არის ქალაქ თელავის მერის მოადგილე და ხმამაღლა შემიძლია ვთქვა, რომ მას მფარველობს დღევანდელი პარლამენტარი ირაკლი სესიაშვილი. კარის მეზობლები არიან თელავში და აქედან გამომდინარე. როგორც ერთ ძმას, ისე მეორე ძმას. ეს არის დღევანდელი ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენელი სესიაშვილი და მაგიტომ მოხდა ეს ყველაფერი, – განაცხადა ალექსანდრე მეგუთნიშვილმა „დღის ამბების“ პირდაპირ ეთერში.

ბრალდებას უკვე გამოეხმაურა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე.

ირაკლი სესიაშვილის განმარტებით, ალექსანდრე საჩიშვილი მისი ბავშვობის მეგობარია და მეგუთნიშვილის მხრიდან ბრალდებები მის წინააღმდეგ ხშირად ისმოდა. სესიაშვილი ამბობს, რომ მსგავსი ბრალდებებით ხდება მისი იმიჯის შელახვა:

– საჩიშვილს მე ვიცნობ ბავშვობიდან, ჩემი მეგობარია, ისევე, როგორც თელავში ძალიან ბევრი მეგობრები მყავს და ღმერთმა მიმრავლოს.

ჩემი მეგობრობა არ ნიშნავს ვინმეს მფარველობას და მეტიც, შეურაცხყოფად მიმაჩნია, ვინმე რომ ჩემს მფარველობას იწერდეს. ეს არის გაღიზიანებული ადამიანის პოზიცია, თუმცა შეეკითხეთ იმათ, ვის მიმართაც პრეტენზია აქვს და მე დარწმუნებული ვარ, ისინი უპასუხებენ. ასეთი უპასუხისმგებლო განცხადება მე მაფიქრებინებს, რომ ვიღაცას უბრალოდ ჩემი იმიჯის შელახვის ინტერესი აქვს და მეტი არაფერი, – განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა მეგუთნიშვილის საპასუხო კომენტარში „ტვ პირველთან“.

**პირველი რადიო**

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# კახა კუკავა: „პრეზიდენტმა და პრემიერმა შეცდომა დაუშვეს“

ნონა ცაბაძე

## „არჩევნები ოქტომბრის ბოლოს უნდა ჩატარდეს“

რატომ არის არჩევნების თარიღით არასაპარლამენტო ოპოზიცია უკმაყოფილო? რა შეცდომები დაუშვა ხელისუფლებამ? რატომ არ შედგა კონსულტაციები ოპოზიციასთან? „ახალ თაობას“ ამ და სხვა საკითხებზე „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი **კახა კუკავა** ესაუბრება.

***– ბატონო კახა, როგორც არჩევნების, ისე წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების თარიღზე ოპოზიციაში აზრთა სხვადასხვაობაა. როგორია თქვენი პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით?***

– მე ვფიქრობ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით შეცდომა დაუშვა პრეზიდენტმაც და პრემიერ-მინისტრმაც. თუკი აპირებდნენ არაორდინარული გადაწყვეტილების მიღებას...

***– არაორდინარულში რას გულისხმობთ?***

– საქართველოში წინასაარჩევნო კამპანია ყოველთვის იწყებოდა ორი თვით ადრე და თუ სხვა გადაწყვეტილების მიღებას გეგმავდნენ, ყველაზე სწორი იქნებოდა, რომ ჩატარებულიყო კონსულტაციები პოლიტიკურ პარტიებთან. არჩევნების თარიღი ეხება ყველა პარტიას თანაბრად, ამიტომ სამართლიანია, რომ მარტო მმართველი პარტიის რიგებში არ მიიღებოდეს ეს გადაწყვეტილება.

***– კონსულტაციები ოპოზიციასთანაც უნდა გაევლოთ?***

– რასაკვირველია და აქ დიდი შეცდომა დაუშვა პრეზიდენტმა, იმიტომ, რომ მან კონსულტაცია გაიარა არჩევნების თარიღთან დაკავშირებით მხოლოდ პრემიერთან, რომელიც იმავდროულად არის მმართველი პარტიის ლიდერი. გამოდის, რომ არჩევნების თარიღი მან შეუთანხმა მხოლოდ ერთ-ერთი პარტიის ლიდერს. სხვა პარტიები აღმოჩნდნენ დისკრიმინირებულ მდგომარეობაში.

ერთი წამით წარმოვიდგინოთ, რომ პრეზიდენტმა კონსულტაციები გამართა კახა კუკავასთან და მხოლოდ ჩვენ ორმა გადავწყვიტეთ, რომ არჩევნები იმართება, სიტყვაზე, 28 ოქტომბერს და სხვა პარტიებს არც შეეკითხა. ასეთივე დისკრიმინაციულია, როდესაც შეთანხმება მოხდა მხოლოდ მმართველი პარტიის წარმომადგენელთან. აქ ორმაგი შეცდომა იყო დაშვებული.

***– რა შეცდომებზე საუბრობთ?***

– ერთი ის, რომ კონსულტაციები არ გაიარა სხვა პარტიებთან და მეორე შეცდომა დაშვებული იქნა თვითონ არჩევნების თარიღთან დაკავშირებით.

***– არ მოგწონთ 8 ოქტომბერი? მაშინ რა რიცხვში უნდა დანიშნულიყო არჩევნები?***

– ამასთან დაკავშირებით საქართველოში არის ჩამოყალიბებული ტრადიცია, ყველა პოლიტიკური პარტია თანხმდება იმაზე, რომ არჩევნებისთვის ყველაზე უფრო შესაფერისი დრო არის ოქტომბრის ბოლო ან ნოემბრის დასაწყისი. როცა არჩევნები ინიშნება ოქტომბრის დასაწყისში, ყველა ოპოზიციური პარტია ამბობს, რომ ეს არის დისკრიმინაციული.

***– რატომ არის დისკრიმინაციული? ოთხი წლის წინ ხომ ჩატარდა***





***არჩევნები ოქტომბრის დასაწყისში?***

– სწორედ ახლანდელი ხელისუფლება, რომელიც მაშინ ოპოზიციაში იყო, აცხადებდა, რომ ეს იყო დისკრიმინაციული. დღეს კი იგივეს იმეორებენ თავად. სწორედ ამიტომ იყო დაშვებული ორმაგი შეცდომა როგორც პრემიერის, ისე პრეზიდენტის მხრიდან.

***– რას ცვლის ეს სამი კვირა? მით უმეტეს, თუ წინასაარჩევნო კამპანიაც გაცილებით ადრე დაიწყება? რატომ ექმნება ამით ოპოზიციას დისკომფორტი?***

– მარტივი მიზეზის გამო – საქართველოში სექტემბერი არის დასასვენებელი პერიოდი.

***– წინასაარჩევნო კამპანია და საკურორტო სეზონი ერთმანეთს არ უნდა ემთხვეოდეს?***

– აქედან გამომდინარე, არც ერთ ქვეყანაში არ შეიძლება, რომ საკურორტო სეზონი საარჩევნო კამპანიას დაემთხვეს. როცა ადამიანები პლიაჟზე არიან, პოლიტიკურ დებატებს ვერ ჩაატარებ. საზღვაო სეზონი როცა მთავრდება, ჩვენთან პოლიტიკური თოქშოუებიც მერე იწყება.

ხელისუფლების მიზანია, რომ ძალიან მოკლე საარჩევნო კამპანიის პირობებში ჩაატაროს ჩუმი არჩევნები. რომელმა ხელისუფლებამაც მოინდომა ჩუმი არჩევნების ჩატარება, მერე ამას ძალიან ხმაურიანი გაგრძელება მოყვა. უმჯობესია, მოვიქცეთ, როგორც ცივილიზებული ქვეყნები და ჩავატაროთ ნორმალური საარჩევნო კამპანია და ოქტომბრის ბოლოს იყოს არჩევნები!

***– ხელისუფლებისგან მოვისმინეთ განმარტებები, რომ არჩევნების თარიღი არ შეიცვლება, ხოლო ოქტომბრის ბოლოს, თქვენთვის ორი თვე მისაღები იყო?***

– რასაკვირველია. ეს დამკვიდრებული ტრადიციაა ბევრ ქვეყანაში. სამწუხაროდ, საქართველოში ჩვენ ისევ გვყავს ოლიგარქის მთავრობა. საქართველოს არ ეღირსა ისეთი ხელისუფლება, რომ ეს საკითხი გადაწყვიტოს ძალიან მარტივად. არჩევნების თარიღთან დაკავშირებით თუ ვერ ახერხებს მთავრობა ოპოზიციასთან შეთანხმებას, როგორ შეძლებს მოლაპარაკების



მიღწევას აფხაზეთთან და ოსეთთან?! არ ეტყვიან, საკუთარ ოპოზიციას ატყუებთ ოცი წელია და ჩვენ როგორ უნდა გენდოთო.

არჩევნები 8 ოქტომბერს იქნება თუ 28-ში, ამით ქვეყანა არც დაიქცევა და არც აშენდება. უბრალოდ, ეს არის მაჩვენებელი იმისა, რომ ქვეყანას მართავს ერთი ვიწრო პარტიული ჯგუფი, კლანური პრინციპით.

***– არასაპარლამენტო ოპოზიციას მოგწონდათ პრემიერ-მინისტრი, მზად იყავით მასთან თანამშრომლობისთვის, დღეს შეიცვალა ეს შეხედულებები?***

– ჩვენ ვამბობდით, რომ ეს პრემიერ-მინისტრი ჯობია წინას. ეს მოსაზრება არ შეცვლილა, ღარიბაშვილთან შედარებით, კვირიკაშვილი არის ნამდვილად უკეთესი პიროვნება. თუმცა, მას აკლია დამოუკიდებლობა, პრინციპულობა, ლიდერის თვისებები. ერთია სწორი შეფასებების გაკეთება, მეორე, სწორი გადაწყვეტილებების მიღება. მე მისი შეფასებების ძალიან დიდ ნაწილს ვეთანხმები, მაგრამ ვერ ვიხსენებ ვერც ერთ გადაწყვეტილებას, რომელიც გიორგი კვირიკაშვილმა მიიღო ბოლო სამი-ოთხი თვის მანძილზე.

მე რომ პრემიერ-მინისტრი ვიყო, კვირიკაშვილი იქნებოდა ჩემი ძალიან კარგი მრჩეველი, მაგრამ ქვეყნის ლიდერს რაც სჭირდება, ის თვისებები მას არ აქვს!

***– ვერ შედგა დამოუკიდებელ ლიდერად?***

– რა თქმა უნდა, ვერ შედგა დამოუკიდებელ ლიდერად. მე სტუდენტური თვითმმართველობის თემასაც გამოვეხმაურები, თქვენ დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები, მან თქვა, რომ სტუდენტური თვითმმართველობა ამ მახინჯი ფორმით არ უნდა არსებობდეს. ეს ყველას მოეწონა, სწორი პოზიციაა. ვნახოთ, რამდენი ხანი გაგრძელდება ეს ლაპარაკი და შეიცვლება თუ არა რამე ამ კუთხით. მისი საუბარი ყველას მოსწონს, თუმცა გადაწყვეტილება არავის უნახავს.

# გია ბარამიძე შეიძლება დააპატიმრონ

შორენა მარსაგიშვილი

## დოდო აფრასიძე: „ეგ დიდი ხნის წინ უნდა დაეჭირათ“

არჩევნების მოახლოებასთან ერთად „ქართულ ოცნებას“ გაახსენდა, რომ მოსახლეობას სამართლიანობის აღდგენას დაჰპირდა. 2012 წელს ისინი ამბობდნენ, რომ ერთ-ერთი პირველი საქმე, რომელსაც გამოიძიებდნენ, 2004 წელს მესტიაში ჩატარებული სპეცოპერაცია იყო. ამ სპეცოპერაციას მაშინდელი შს მინისტრი გია ბარამიძე ხელმძღვანელობდა.

ნაარჩევნებს „ოცნებას“ ბევრი რამ დაავიწყდა და მისმა ნაწილმა ბარამიძის პარლამენტის ვიცე-სპიკერად არჩევასაც კი დაუჭირა მხარი. ამის პარალელურად პროკურატურამ საქმის გამოძიება დაიწყო, თუმცა ბარამიძე დაკითხვაზე არ დაუბარებიათ. არადა ვიცე-სპიკერი დღემდე გაიძახის, მზად ვარ დაკითხვისთვისო.

კარგა ხანი ეს თემა მიჩუმათებული იყო. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ ვიცე-სპიკერს მოქმედ ხელისუფლებაში ვიღაც მფარველობს. ეტყობა, ამ ვიღაცას პოზიციები შეუსუსტდა და პროკურატურაც საქმეს შეუდგა.

გაზეთ „პრაიმტაიმის“ მიერ 17 აპრილს გამოქვეყნებულ სტატიაში ნათქვამია, რომ აფრასიძეების საქმეზე გამოძიება ბოლოსკენ მიდის და ბარამიძის წინააღმდეგ კონკრეტული ჩვენებებიც არსებობს.

გამოცემის წყაროს ინფორმაციით, ბარამიძემ საარჩევნო სიაში შესაძლოა ბოლო ადგილზე გადაინაცვლოს და პარლამენტში ვერც მოხვდეს. ამასთან, არ არის გამორიცხული, ბარამიძემ საქართველო დატოვოს და ოდესაში გადაინაცვლოს.

თუმცა, როგორც თავად დეპუტატი ბარამიძე გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, იგი გამოძიებას არ გაურბის და აფრასიძეების საქმეში სუფთაა.

„ახალი თაობისთვის“ იმის შესახებაც გახდა ცნობილი, რომ ნაციონალებმა ბარამიძეს არაერთხელ მოსთხოვეს, საკუთარი ნებით გაემიჯნოს მათ. პარტია საარჩევნოდ განახლებული შემადგენლობით აპირებს გასვლას და, ჩვენი წყაროს ინფორმაციით, იქ სისხლიანების ადგილი არ იქნება, ბარამიძის სახელს კი საკმაოდ ბევრი სისხლი უკავშირდება.





დოდო აფრასიძე

ბარამიძის შესაძლო დაკავებასთან დაკავშირებით ჩვენ კომენტარისთვის დოდო აფრასიძეს დავუკავშირდით. ის დარწმუნებულია, რომ ბარამიძეს აუცილებლად იხილავს ციხეში.

– უკვე რამდენიმე გაზეთმა დამირეკა კომენტარისთვის. გამეხარდა, რომ გავიგე, ბარამიძის დაჭერას აპირებენო. მე ამის შესახებ არაფერი ვიცი. პროკურატურიდან არანაირი ინფორმაცია არ მომსვლია. ეგ დიდი ხნის წინ უნდა დაეჭირათ, მაგრამ ხანდახან სამართალს ძალიან აგვიანდება, ამბობენ, ურმით დადისო, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში დოდო აფრასიძე.

ის არ გამორიცხავს, რომ ბარამიძე მართლა შეეცადოს ქვეყნიდან გაქცევას. მისი თქმით, ეს დეპუტატს ვერ იხსნის.

– ქვეყნიდან გაქცევით შესაძლოა ციხეს აარიდოს თავი, მაგრამ დანაშაულისთვის მაინც მოუწევს პასუხისგება. მაგას ადამიანობა რომ ჰქონდეს, საკუთარი სინდისი გააგიჟებდა, მაგრამ ადამიანობა არა აქვს. მაგისგან განსხვავებით, ჩვენ ადამიანები ვართ და სამაგიეროს გადახდას უხეში ფორმებით არ ვაპირებთ. გვინდა ყველაფერი კანონის მიხედვით მოხდეს.

იმ საშინელი დღიდან 12 წელი გავიდა, მაგრამ ჩვენი ტრაგედია ყველას ახსოვს. არ არის გამორიცხული, ვინმემ სამაგიერო გადაუხადოს. ქვეყანაში საშინელებები ჩემი ოჯახის ამოწყვეტის ოპერაციით დაიწყო. ამიტომ იცოდეს, საქართველოდან გაქცევით თავს ვერ დაიძვრენს, – აღნიშნავს დოდო აფრასიძე.

მისთვის ცნობილი არ არის, რა დამატებითი ჩვენებები მოიპოვა პროკურატურამ, სამაგიეროდ, იცის, რა ჩვენებები მისცეს მისმა მეზობლებმა.

– ამ სპეცოპერაციაში 1.000-ზე მეტი სპეცრაზმელი მონაწილეობდა. მათ ბევრი რამე იციან და არ გამოვრიცხავ, ვინმემ რაიმე მნიშვნელოვანი დეტალი გაამხილა. ბარამიძის წინააღმდეგ ასეულობით ჩვენება დევს. ის ადამიანები სასამართლოს წინაშეც იტყვიან იმას, რაც 2004 წლის 24 მარტს ჩემს ეზოში ნახეს. იმასაც მოყვებიან, როგორ ითხოვდა ჩემი ომეხის ფეხებთან მდგარი კუბდარს. ეს სურვილი აუცილებლად აუსრულდება, ის იმ კუბდარს მიიღებს, რომელიც დაიმსახურა, – აცხადებს აფრასიძეების დედა.

ბარამიძის გარდა, ის მიხეილ სააკაშვილის დასჯასაც ითხოვს.

– ყოფილმა პრეზიდენტმა 2009 წელს საჯაროდ თქვა, რომ ჩვენი ამოწყვეტის ბრძანება მან გასცა. მას ჩვენება უკვე მიცემული აქვს და საქმე აუცილებლად უნდა აღიძრას, – აღნიშნავს დოდო აფრასიძე.

ის სააკაშვილის და ბარამიძისგან მორალური და მატერიალური ზარალის ანაზღაურებასაც ითხოვს.

**დოდო აფრასიძე:**

– ოპერაციის დროს მათ გადაწვეს ჩვენი სახლ-კარი. წაიღეს ყველაფერი, რაც სახლში იყო. ეს აუცილებლად უნდა აანაზღაურონ. ასევე პასუხი უნდა აგონ იმ განცხადებებზე, რომელთაც ჩვენი მისამართით აკეთებდნენ. ყაჩაღებს და ბანდიტებს გვეძახდნენ. სინამდვილეში კი თავად არიან ყაჩაღები. ჩემს მოკლულ შვილს გულიდან ოქროს ჯაჭვი მოგლიჯეს, თითიდან კი ბეჭედი მოხსნეს.

ამ სპეცოპერაციის დროს ჩემი რძალი ჭკუიდან შეიშალა. მისი მკურნალობის ხარჯებიც მათ უნდა აანაზღაურონ. ჩემს შვილს და ცოცხლად დამწვარ მეუღლეს ვერავინ გამიცოცხლებს, მაგრამ სამართალს მაინც ვიპოვი.

* * *

„ახალი თაობისთვის“ ცნობილი გახდა ისიც, რომ ბარამიძეს სხვა საქმეზეც მოსთხოვენ პასუხს.

საუბარია მის მიერ ჩატარებულ პირველ სპეცოპერაციაზე, გენერალ გია ვაშაკიძის საქმეზე. ის თავის 2 მეგობართან ერთად ბიზნესმენ თამაზ მაღლაკელიძის გატაცების გამო დააკავეს.

მოგვიანებით თავად მაღლაკელიძე ამბობდა რომ დაკავებულები მისი გამტაცებლები არ იყვნენ. ამის მიუხედავად, სამეული ციხეში გაუშვეს და გია ვაშაკიძეს ციხეში 9 წელი გაატარებინეს.

მოგვიანებით ვაშაკიძე მოყვა, როგორ აწამა ბარამიძემ დაკავებულები. ის თავიდან მათგან ითხოვდა, ეღიარებინათ – თითქოს იგორ გიორგაძის დავალებით გადატრიალების მოწყობას აპირებდნენ.

# ბაჩუკი ქარდავა: „ქუჩებში ქვებით სირბილს არ ვაპირებთ, მაგრამ ბრძოლა გაგრძელდება“

## „8 ოქტომბერი ოპოზიციისთვის გამოწვევაა და ჩვენ ვიღებთ ამ გამოწვევას“

ნათია ხურცილავა

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი **ბაჩუკი ქარდავა** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლის მოთხოვნით ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების მეორე რაუნდი იწყება.

***— ბატონო ბაჩუკი, თუ ხელისუფლება დათმობაზე არ წავიდა, თქვენი პასუხი რა იქნება?***

— ჯერ კიდევ არ არის საარჩევნო კამპანია გაჩაღებული, შესაბამისად, არსებობს დრო და რესურსი, მთავარია ხელისუფლების პოლიტიკური ნება. თუმცა, ხელისუფლების უარის შემთხვევაში ყველაფერი უნდა გაკეთდეს ოპოზიციის მიერ ერთიანი ძალისხმევით ხელისუფლებაზე ზეწოლის განსახორციელებლად.

***— რა ფორმით?***

— სხვადასხვა მიმართულებით. მე არ ვგულისხმობ მხოლოდ საპროტესტო აქციებს, მაგრამ არც აქციებს გამოვრიცხავთ, თუმცა ეს არ ნიშნავს ქუჩებში ქვებით სირბილს. შეიძლება ეს გამოსვლები იყოს მწვავე, მაგრამ აუცილებლად იქნება შედეგზე ორიენტირებული და მიზანმიმართული აქციები.

შეიძლება პარლამენტის ფაქტორიც გამოვიყენოთ იმ რეალობის გათვალისწინებით, რომელშიც აღმოჩნდა მმართველი კოალიცია, რადგან ის ყველა სუბიექტმა დატოვა. უმრავლესობა მყიფეა, მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის წინ მისი ერთობა არც ისე მყარია და ამას ჩვენ გამოვიყენებთ.

ყველა ამ ბერკეტის გამოყენებით ოპოზიციური პარტიები მზად არიან, ბოლომდე იბრძოლონ. ჩვენ ვაპირებთ ყველა შანსი გამოვიყენოთ. თუმცა, თუ ხელისუფლება ბოლომდე ხისტი იქნება და გაჯიქდება, მაშინ თავს ზევით ძალა არ არის და ეს ხელისუფლება ყველამ ერთად უნდა დავამარცხოთ არჩევნებში.

***— ახლა რა ეტაპია?***

— მოლაპარაკებების მეორე რაუნდი წინ არის. ჩვენი წინადადებების პაკეტი ხელისუფლებამ განიხილა, მაგრამ რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული, ამ ინფორმაციას ჩვენ არ ვფლობთ. მეტიც, ასეთი ინფორმაცია არც იარსებებს, ვინაიდან მოლაპარაკებების მეორე რაუნდი უნდა შედგეს, სადაც ინტერპარტიული ჯგუფის მიერ გაგზავნილი ოთხეული და ხელისუფლების მიერ გამოგზავნილი მომლაპარაკებლები შევხვდებით ერთმანეთს სამუშაო ფორმატში.

მე წინასწარ არ შემიძლია ვისაუბრო, რა კომპრომისი შედგება ამ შეხვედრაზე. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვთქვათ, ჩვენ ვართ ხელისუფლების შემოთავაზებაზე თანახმა თუ არ ვართ.

***— მნიშვნელოვანია საარჩევნო სისტემა — როგორი სისტემა იქნება, შერეული თუ პროპორციული?***

— საარჩევნო სისტემა მართლაც უმნიშვნელოვანესია, მაგრამ ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ბარიერის საკითხი. ასევე მნიშვნელოვანია საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების საკითხი. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ხელისუფლებას სრული უმრავლესობა აქვს. ჩვენ ვითხოვთ ბალანსის შეცვლას. ასევე ვითხოვთ ბარიერის დაწევას 4 პროცენტამდე. კვალიფიციური სუბიექტის სტატუსის მინიჭებისთვის ბარიერი კიდევ უფრო დაბალი უნდა იყოს.

გარდა ამისა, წინასაარჩევნო პერიოდში ვითხოვთ კვალიფიციური სუბიექტების თანაბრობას, რეკლამისა და საეთერო დროის გამოყოფის თვალსაზრისით. რაც შეეხება საარჩევნო სისტემას, ის უმნიშვნელოვანესია. თუ კონსტიტუციის დონეზე მოხდება ცვლილება, ამ შემთხვევაში ეს იქნება რევოლუციური ცვლილება.

***— ბატონო ბაჩუკი, საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით ხელისუფლების საბოლოო ვარიანტი თქვენთვის ცნობილი არის?***

— ჯერ ჩვენ არც ერთ ვარიანტთან დაკავშირებით ხელისუფლების საბოლოო გადაწყვეტილება არ ვიცით. ფაქტი ერთია, ხელისუფლებას უჭირს საბოლოო წერტილის დასმა და უარის თქმა. ხელისუფლებამ თვითონაც კარგად იცის, რომ მხოლოდ ამ რეფორმირების ფონზე შეიძლება ჩვენ სამართლიან არჩევნებზე ვისაუბროთ. ამიტომაც, ის ხისტ პასუხს



ცალსახად ვერ ამბობს. არ აწყობს ხელისუფლებას, რომ ამ პასუხით კიდევ უფრო დაიმძიმოს მდგომარეობა, ისედაც მძიმე ვითარებაში იმყოფება. დღეს ხელისუფლება არჩევანის წინაშე დგას.

***— რა არჩევანია ეს?***

— ან დემოკრატიისკენ წინ ნაბიჯი, ან უკან. ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს, რა დონის პოლიტიკური ნება აღმოაჩნდებათ და ვის სასარგებლოდ იქნება ეს გადაწყვეტილება — დემოკრატიის თუ სათავისოდ.

***— წინასაარჩევნო კამპანიის თარიღის ირგვლივ შექმნილი ვითარება, თქვენ როგორც არჩევნებში მონაწილე პარტიას, რა სახის დისკომფორტს გიქმნით?***

— ძალიან ბევრი მიმართულებით შეიძლება ეს ყველაფერი ხელშემშლელი აღმოჩნდეს. სამწუხაროდ, ყველა არჩევნების წინ ხელისუფლების მხრიდან ასეთი ხელშემშლელი ფაქტორები ოპოზიციისთვის ხელოვნურადაც კი იქმნება.

***— ფიქრობთ, ხელოვნურად შეიქმნა ეს ვითარება?***

— არა, ამ კონკრეტულ შემთხვევას არ ვგულისხმობ. მე ზოგად შეფასებას ვაკეთებ. რაც შეეხება ამ კონკრეტულ შემთხვევას, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა განაცხადა, რომ ის მომხრე იყო, არჩევნები ოქტომბრის მეორე ნახევარში ან შუა რიცხვებში დანიშნულიყო, რასაც ოპოზიციური პარტიების დიდი უმრავლესობაც ეთანხმება, რადგან სრულფასოვანი წინასაარჩევნო კამპანიის შესაძლებლობას არ იძლევა ზაფხულის პერიოდი.

8 ოქტომბერი ოპოზიციისთვის გამოწვევაა და ჩვენ ვიღებთ ამ გამოწვევას. აქ მთავარია, სწრაფად გაირკვეს, როდის გვექნება საარჩევნო კამპანიის ჩატარების შესაძლებლობა, რადგან ეს უამრავ პროცედურას უკავშირდება. სამწუხაროა, რომ ელემენტარული სამართლებრივი განმარტების პრობლემის გამო აღმოვჩნდით ასეთ ვითარებაში.

# სააკაშვილი ბოკერიას წინააღმდეგ

## დიდი დაპირისპირება ნაციონალებში

პოლიტიკურ ინტრიგებში გამოწრთობილ, გამობრძმედილ ნაციონალებში, როგორც ამბობენ, დადგა ჟამიანობის, ქიშპობის პერიოდი.



პარტიაში ამ თემაზე ღიად არ საუბრობენ, მათ არ სურთ დაპირისპირების დაფიქსირება და ერთიანი გუნდის იმიტაციას ქმნიან.

— ნაციონალურ მოძრაობაში კარგად იციან, რომ მომავალ პარლამენტში მათი ხვედრითი წილი ძალიან დაბალი იქნება. სწორედ გამსვლელი ადგილი და საარჩევნო სიის დაკომპლექტება გახდა ოდესის გუბერნატორისა და ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, გიგა ბოკერიას დაპირისპირების მიზეზი, — წერს ფორ.გე.

ინტერნეტ-გამოცემის ინფორმაციით, ბოკერიას არ სურს ყოფილი ძალოვანების და კონკრეტულად, ვანო მერაბიშვილისა და ძმებ ახალაიებთან ასოცირებული ადამიანების საარჩევნო სიაში შეყვანა, რასაც ყოფილ მმართველ გუნდში დაპირისპირება მოჰყვა.

შიდა კლანური დაპირის-



პირება და ბრძოლა გავლენის მოსაპოვებლად ნაციონალურ მოძრაობას ყოველთვის ახასიათებდა და ეს ინფორმაცია რაღაცა დოზით ყოველთვის ჟონავდა.

შიდა კლანური დაპირისპირება ჯერ კიდევ ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნის დროს დაიწყო, როდესაც გიგა ბოკერია და „თავისუფლების ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი ლევან რამიშვილი დაუპირისპირდნენ ვანო მერაბიშვილის ფრთას. ბოკერია წინააღმდეგი იყო ძალოვანი სტრუქტურების გაძლიერების, რადგან თვლიდა, რომ ძალოვანების გავლენები იმდენად გაიზარდა, რომ მისი ფრთა დაჩრდილა.

სწორედ ეს გახდა ნაციონალურ მოძრაობაში დიდი განხეთქილების მიზეზი.

* * *

ექსპერტი რამაზ საყვარელიძე ამბობს, რომ ნაციონალური მოძრაობა სრულიად გასხვავებული სტილისა და ორიენტაციის პოლიტიკოსების გაერთიანებაა, რომლის მთავარი იდეაც შანტაჟის დისციპლინაა.

ახლა საინტერესოა, ვინ დაემორჩილება შანტაჟის დისციპლინას და ვინ — არა.

ანალიტიკოსების შეფასებით, მნიშვნელობა არ აქვს, როგორი იქნება ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სია, რადგან თვითონ ბრენდი დაზიანებულია.

— არაფერია გასაკვირი იმაში, რომ სერიოზული თავის ტკივილი აქვს ნაციონალური მოძრაობის საქართველოში შემორჩენილ გუნდს, — აცხადებს ფორ.გე-სთან საუბრისას ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი.

ექსპერტის განცხადებით, ამ პარტიის ერთსულოვნება გამყარებული იყო სააკაშვილის მიერ, რომელიც მოწყდა ქართულ რეალობას.

როგორც ამბობენ, კირკიტაძე და ნადირაშვილი სიაში გამსვლელ ადგილებს ვერ დაიკავებენ, ახალ სახეებს კი ნაციონალების საარჩევნო სიაში მოხვედრა არ უნდათ.

ერთ-ერთი ინფორმაციით, საარჩევნო სიის შედგენის ფორმულა საბჭოზე კი არა, ოდესაში შეთანხმდა. ამ მისიით ნაციონალური მოძრაობიდან სააკაშვილთან კაკო ბობოხიძე გაემგზავრა.

ცნობილი გახდა მხოლოდ იმ ახალი სახეების ვინაობა, რომელთა ნაციონალების საარჩევნო სიაში ჩასმაც ოდესის გუბერნატორმა მოისურვა. მათ შორის არიან: ლადო გურგენიძე — ყოფილი პრემიერი, ეკა ტყეშელაშვილი — ყოფილი ვიცე-პრემიერი, გეგა მგალობლიშვილი — ყოფილი პრემიერი, არჩილ კონცელიძე — ვითიბი ბანკის პრეზიდენტი, გიორგი ქადაგიძე — ეროვნული ბანკის ყოფილი ხელმძღვანელი.

ერთ-ერთი ინფორმაციით, მათ ნაციონალებს საარჩევნო სიაში ჩასმაზე უარი უთხრეს.

პირველი ათეულში ახალი სახეები იქნებიან, მეორე ათეულში — რეგიონალური ლიდერები, ანუ ისინი, ვისაც ადგილებზე გავლენები სერიოზული აქვთ და პარტიას სოლიდურ ხმებს მოუტანენ. ამ მიმართულებით ადგილებზე პრაიმერიზებიც გაიმართება.

მესამე ათეულში შეიძლება ერთი-ორი ძველი სახეც გამოჩნდეს. თუმცა, ჯერ არაფერია ცნობილი.

ამბობენ, რომ ოდესის გუბერნატორი სიის მაქსიმალურად განახლებას ითხოვს. ასე რომ, უცნობია, როგორ განაწილდებიან ძველი სახეები.

კულისებში ითქვა, რომ ამ თემაზე ძველებს ახალ სახეებთან სერიოზული კონფლიქტიც მოუვიდათ.

# რუსი პოლიტოლოგი: „სამხრეთ ოსეთი ისედაც ჩვენს კისერზეა“

ანალიტიკური ბიურო „Alte et Certe“-ს ხელმძღვანელის, პოლიტოლოგ ანდრეი ეპიფანცევის განცხადებით, სამხრეთ ოსეთი ისედაც რუსეთის კისერზეა და აქედან გამომდინარე, მოსკოვს მისი რუსეთთან მიერთების აუცილებლობა არ უდგას.



ამ თემაზე ეპიფანცევი გამოცემა „Аргументы и факты“-ს კორესპონდენტს ესაუბრა.

— მართალი გითხრათ, სინამდვილეში ჩვენ წინაშე არ დგას იმის მწვავე აუცილებლობა, რომ სამხრეთ ოსეთი რუსეთის შემადგენლობაში მივიღოთ. რატომ? ახლავე გეტყვით: თუ ჩვენ ასეთ ნაბიჯს გადავდგამთ, ცხინვალისათვის კარდინალურად არაფერი შეიცვლება (სამხრეთ ოსეთი ისედაც ჩვენს კისერზეა, ფულს ვაძლევთ და ეკონომიკის აღდგენაში ისედაც ვეხმარებით), მაგრამ რუსეთისთვის წამგებიანი იქნება — ჩვენ ირგვლივ სიტუაცია გაუარესდება. მსოფლიოს ჯერ ის ვერ მოუნელებია, რომ ყირიმი რუსეთის შემადგენლობაში მოექცა და თუ სამხრეთ ოსეთსაც მივიერთებთ, მაშინ ეს საკითხი „ხარის წინ აფრიალებული წითელი ნაჭრის“ როლს შეასრულებს. დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ სანქციებს კიდევ გაგვიგრძელებენ და მათ მოხსნაზე აღარც უნდა ვიოცნებოთ. ჩვენს არაკეთილმოსურნეებს ამით სალაპარაკო თემას მივცემთ, მათ შეუძლიათ ათასი რამ დაგვაბრალონ და ჩადენილ ცოდვებში გვამხილონ. უფრო მეტიც — ჩვენ დავკარგავთ რუსეთისათვის მნიშვნელოვან ზოგიერთ საგარეო პოლიტიკურ ინსტრუმენტს.

ოფიციალურად ამაზე არავინ არაფერს ამბობს, მაგრამ იგულისხმება. ანუ შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი სამხრეთ ოსეთს თავის შემადგენლობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ საქართველო ნატოში გაწევრიანდება. მოკლედ, სამხრეთ ოსეთის მიღება-არმიღების საკითხი ერთგვარი შემაკავებელი ინსტრუმენტია იმისათვის, რომ სცენარი ასეთი მიმართულებით არ განვითარდეს, — აცხადებს პოლიტოლოგი.

ნიუსპრესი

# ირმა ინაშვილი შიმშილობას აპირებს



პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ გენერალური მდივნის ირმა ინაშვილის განცხადებით, თუ ხელისუფლება არ წავა დათმობებზე საარჩევნო სისტემის შეცვლასთან დაკავშირებით, რასაც არასაპარლამენტო პარტიები მოითხოვენ, ისინი პროტესტის უკიდურეს ფორმას — შიმშილობას მიმართავენ.

— ხელისუფლება არ მოდის დათმობაზე ოპოზიციასთან, არ მოდის საარჩევნო სისტემის და გარემოს შეცვლაზე, მას არ უნდა ქვეყანაში შექმნას სამართლიანი საარჩევნო გარემო და ეს დაუბრუნდება ძალიან ცუდად დღევანდელ ხელისუფლებას. არ გამოვრიცხავ ქუჩის აქციებს, არ გამოვრიცხავ მანიფესტაციებს, არ გამოვრიცხავ ლოკალური ტიპის აქციებს, არ გამოვრიცხავ და პირდაპირ გეუბნებით, შევხვდებით ყველა საელჩოს. არ გამოვრიცხავ და გეუბნებით, რომ ჩავალთ ბრიუსელში. არ გამოვრიცხავთ, მივმართოთ პროტესტის უკიდურეს ფორმას, შიმშილობას, — აღნიშნა ინაშვილმა.

* * *

ცნობისათვის: ინტერპარტიული ჯგუფის წევრები მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას ან პროპორციული სიის გაზრდის ხარჯზე მაჟორიტარების შემცირებას მოითხოვენ. საარჩევნო სისტემის რეფორმირებასთან დაკავშირებით შეთავაზებებზე პასუხს არასაპარლამენტო პარტიები პრემიერისგან ელოდებიან.

არასაპარლამენტო პარტიების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ თუ ხელისუფლების მხრიდან საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიმართულებით ნაბიჯები არ გადაიდგა, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების ლეგიტიმაციას საფრთხე დაემუქრება.

მედიანიუსი

გახდომა-გასუქება 5–20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ლელა გეჯაძე პაციენტების ბოლო იმედად!

## „ქავთასი“ – სამკურნალო ნაყენი, რომელიც სასწაულებს ახდენს!

ლელა გეჯაძის ნაყენი „ქავთასი“ უაღრესად ეფექტური და, შეიძლება ითქვას, უნივერსალური სამკურნალო საშუალებაა, რომელიც მეტეხის ტაძრის წინამძღვრის – მამა აკაკის (მელიქიძე) მიერაა ნაკურთხი. ქალბატონი ლელა მიიჩნევს, რომ ამ ფაქტმა მისი ნაყენის სასწაულმოქმედება კიდევ უფრო გააძლიერა. რატომ მიიღო მამა აკაკიმ „ქავთასის“ კურთხევის გადაწყვეტილება და რას ჰყვებიან ამ ნაყენით განკურნებული პაციენტები?!



**რა არის „ქავთასი“ და რა დაავადებების სამკურნალოდაა რეკომენდებული მისი მიღება?**

ნაყენი „ქავთასი“ რამდენიმე ბალახეული ნაკრებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალებაა, რომელიც მდიდარია ნატურალური ვიტამინებით, მიკრო და მაკრო-ელემენტებით, შეიცავს მინერალებს (თუთია, სელენიუმი), რომელთა სინთეზი ორგანიზმში არ ხდება.

**ნაყენი „ქავთასი“:**

**უჯრედულ დონეზე ახდენს სისხლის ფილტრაციას;**
**მთლიანად გამოდევნის წიდებს;**
**მაქსიმალურად აწესრიგებს სისხლში ბილირუბინს;**
**არეგულირებს ქოლესტერინს;**
**კურნავს პროსტატას, მკერდში აქრობს სიმსივნურ და კისტოზურ წარმონაქმნებს; მაქსიმალურად აწესრიგებს ნაღვლის ბუშტის ყველა პრობლემას;**
**სრულად აქრობს ნალექს, ჩირქსა და კენჭოვან წარმონაქმნებს, ასევე ლამბლიებს;**
**ხსნის ალერგიებს;**
**ასუფთავებს ფრონტიტის, ჰაიმორიტის ღრუს;**
**აქრობს არასასიამოვნო გემოს და სუნს პირის ღრუში;**
**კურნავს ბუასილს;**
**აუმჯობესებს ცენტრალურ ნერვულ სისტემასა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციონირებას;**
**აწესრიგებს ენდოკრინულ ბალანსს (შაქრიანი დიაბეტი, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციონირება);**
**ახდენს წონის კორექციას;**
**ეწინააღმდეგება ლეიკემიის განვითარებას, იცავს ორგანიზმს ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი სიმსივნეების წარმოქმნისგან;**
**ეფექტურია წინამდებარე ჯირკვლის ადენომების, ფიბრომიომების, კისტების, მასტოპათიების დროს;**
**შველის გაცხიმოვნებულ ღვიძლს; ციროზს (ღვიძლის ნებისმიერი ფორმაცვალების შემთხვევაში); ხსნის მწვავე ტკივილებს;**
**ხელს უწყობს ორგანიზმიდან სითხის გამოდევნას;**
**ორგანიზმს ამდიდრებს ვიტამინებით;**
**კურნავს იმპოტენციას; ამაღლებს სექსუალურ აქტივობას და აახალგაზრდავებს ორგანიზმს;**
**განსაკუთრებით ეფექტურია ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის მკურნალობაში; ასევე მეტად სასიკეთოა A,B და C ჰეპატიტების დროს.**

***განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო რამდენიმე შემთხვევა – აღნიშნული ნაყენის მეშვეობით განიკურნა რამდენიმე ონკოლოგიური პაციენტი – ბიჭიკო სოლოღაშვილი, რომელსაც მარდალეიშვილის კლინიკაში საყლაპავი მილის სიმსივნის მე-3 სტადია დაუდგინეს; ქეთევან თულაშვილი, რომლისთვისაც თავის ქალა უნდა აეხადათ და ჩემი ნაყენის მეშვეობით დღეს სრულიად ჯანმრთელია; მედიკო ბიწაძე, რომელსაც ჰქონდა მკერდის ავთვისებიანი სიმსივნე. გარდა ამისა, ჩემი ნაყენით მკურნალობის შემდეგ დიალეზიდან „მოიხსნა“ პაციენტი დავით ენდელაძე.***

**– აქვს თუ არა აღნიშნული ნაყენით მკურნალობას რაიმე უკუჩვენება?**

**– ჩემს ნაყენს არანაირი უკუჩვენება არ გააჩნია – ამას ხმამაღლა ვაცხადებ!**

არც ერთი უკმაყოფილო პაციენტი არ მყავს და ამის მიზეზი მხოლოდ ერთი რამაა – თუ ავადმყოფის განკურნების 100%-იანი იმედი არ მაქვს, მკურნალობას არ ვუწყებ. აქედან გამომდინარე, არ ყოფილა ერთი შემთხვევაც კი, როცა მე ავადმყოფს იმედი მივეცი და შედეგი არ „დავდე“! ამაზე მეტყველებს ის კვლევებიც, რომლებსაც პაციენტები მკურნალობის დასრულების შემდეგ განმეორებით იტარებენ. ამის დამადასტურებელი არაერთი საბუთი მაქვს!

**– რატომ მიიღო მამა აკაკიმ თქვენი ნაყენის კურთხევის გადაწყვეტილება?**

– ამის მიზეზი შიომღვიმის მონასტერში მოღვაწე შავი ბერი მატათას განკურნება გახდა, რომელსაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკმაოდ სერიოზული პრობლემა ჰქონდა და „ქავთასის“ მეშვეობით სრულად გამოჯანმრთელდა. სწორედ მან მოუყვა მამა აკაკის ჩემი ნაყენის შესახებ. მამა აკაკი იმდენად დაინტერესდა ამ ფაქტით, რომ ერთხელაც ტაძარში მისული თავისთან მიმიხმო (მამა აკაკის მრევლი გახლავართ) და თავად გამოთქვა სურვილი ჩემი ნაყენის კურთხევის თაობაზე.

***მამა აკაკის კურთხევას მივაწერ ამ ნაყენის ასეთ ეფექტურობას. ალბათ მისმა ლოცვა-კურთხევამ გამხადა იმის ღირსი, რომ პაციენტთა შორის უამრავი სასულიერო პირიც მყავდეს – მამა ლუკა კოჩენკო (რომელმაც საკმაოდ ვრცელი სტატია გამოაქვეყნა ჩემ შესახებ და მრევლს მოუწოდა ნაყენი „ქავთასის“ მიღებისკენ), დმანისის ეპარქიის წმინდა ბასილი დიდის ტაძარში მოღვაწე დედა გაიანე ფილიშვილი, (რომელმაც „ღვთიური მადლით გაჯერებული ბუნების საჩუქარი – უკვდავების ნაყენი“ უწოდა ნაყენს), მამა დავითი, შავნაბადის მონასტრის ბერები, მეუფეები და მაღალი იერარქიის სხვა პირები... მადლობას ვუხდი უფალს, რადგან მომცა იმის საშუალება, რომ მათ პირადად ვიცნობდე.***

**ლელა გეჯაძის ნაყენით განკურნებული ადამიანები მზად არიან, ჩვენს მკითხველს თავად უამბონ „ქავთასით“ მკურნალობის შედეგების შესახებ:**

**ელზა სოლოღაშვილი:** *2012 წლის 11 სექტემბერს მამას მარდალეიშვილის კლინიკაში დაუდგინდა ავთვისებიანი სიმსივნის მე-3 სტადია საყლაპავ მილზე, გარდაუვალი იყო ოპერაცია. სრულიად შემთხვევით შევიტყვეთ ლელა გეჯაძის და მისი საავტორო პრეპარატის – „ქავთასის“ შესახებ. ლელას მიერ გაწეული მკურნალობის შედეგად მამა სრულად გამოჯანმრთელდა, პრეპარატის მიღების შემდეგ სრულიად ალაგდა სიმსივნური უჯრედები. კიდევ ერთხელ ვუხდი ქალბატონ ლელას მადლობას იმ სიხარულის მონიჭებისთვის, რაც მან ჩვენს ოჯახს მოუტანა, ლოცვებში ყოველთვის მოვიხსენიებ.*

**გიორგი დადეშქელიანი:** *წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი, მქონდა შებერილობა, გაუსაძლისი ტკივილი მუცლის ღრუში, თავის უმიზეზო ტკივილები, ასევე ჭვალი ბეჭზე, არასასიამოვნო გემო პირის ღრუში, უენერგიობა. ვგრძნობდი, რომ ნელ-ნელა ჩემი მდგომარეობა მძიმდებოდა და სიმპტომები ყოველდღიურად მემატებოდა. სრულიად შემთხვევით შევიტყვე ლელა გეჯაძეზე და მის საავტორო ნაყენზე (ინტერნეტის მეშვეობით) და გადავწყვიტე მასთან მკურნალობის დაწყება. დავუკავშირდი, ჩავეწერე და მივედი. მან მთხოვა გამეკეთებინა ექოსკოპია და ასეც მოვიქეცი. აღმოჩნდა, რომ ნაღვლის ბუშტი იყო დეფორმირებული და სილითა და ჩირქით სავსე. დავიწყე მკურნალობა. პირველივე კურსის შემდეგ მომეხსნა შებერილობა და თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობდი. სულ დამჭირდა 15 კურსი. ამილაგდა ყველა პრობლემა, გაქრა ყველა ჩივილი. გადავამოწმე ექოსკოპია და სრულიად მოწესრიგებული დამხვდა ნაღვლის ბუშტი, მას პირვანდელი ჯანმრთელი სახე ჰქონდა დაბრუნებული და აღარ იყო ჩირქი და სილა. მე ყველას ვურჩევ ქალბატონ ლელასთან მკურნალობას. ჩემმა ბევრმა ახლობელმაც დაიწყო მასთან მკურნალობა და შედეგით ისინიც აღფრთოვანებულები არიან!*

**ნინა იაშვილი:** *მქონდა ფარისებრი ჯირკვალი გაზლეული. გახლავართ პროფესორ რეზო იაშვილის შვილიშვილი და მოგეხსენებათ, არ მექნებოდა მკურნალობის პრობლემა. ფარისებრი ჯირკვლის განლევა, როგორც ექოსკოპიამ, ასევე სისხლის ანალიზებმაც დაადასტურა. მან გამოიწვია უამრავი დაავადება ჩემს ორგანიზმში: ჭარბწონიანობა, სახსრების ტკივილი, უენერგიობა, უძილობა, ხასიათში გადამდიოდა ეს ყველაფერი, ვიყავი საშინლად აგრესიული და ამ ყველაფერმა დეპრესიაში ჩამაგდო. დამინიშნეს ჰორმონით მკურნალობა. როდესაც უკვე ვიწყებდი მკურნალობას, სრულიად შემთხვევით შევიტყვე ლელაზე და მის უნიკალურ პრეპარატზე და გადავწყვიტე მისვლა. მივედი, მივიტანე ჩემი ყველა ანალიზი, რომელიც გაკეთებული მქონდა და მითხრა, რომ ყველაფერი მოგვარებადი იყო. ზუსტად 2 თვე დამჭირდა მკურნალობა. 2 თვის თავზე გადავამოწმე ანალიზები და ფარისებრი ჯირკვალი სრულიად ნორმის ფარგლებში მქონდა. ეს ექოსკოპიამაც და სისხლის ანალიზებმაც დაადასტურა! დიდი მადლობა თქვენ ამისთვის!*

**თამო ედიშერაშვილი:** *წლების განმავლობაში მაწუხებდა გაუსაძლისი ტკივილი ხერხემლის არეში. როგორც გამოკვლევაზე მითხრეს, მქონდა კისტები მალებს შორის. ასევე, ექოსკოპიური დათვალიერების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ნაღვლის ბუშტს აღენიშნებოდა ნაკეცები და ფაქტობრივად უფუნქციო მდგომარეობაში იყო. ექოსკოპიური დათვალიერება ინტერკლინიკაში გავიკეთე ტატიშვილთან და მან დეტალურად აღმიწერა ნაღვლის მდგომარეობა. ახლობელმა მირჩია ქალბატონ ლელასთან მისვლა და მკურნალობის დაწყება. მივედი მასთან და მოვუყევი ჩემი ჩივილების შესახებ, რომლებიც შემდეგნაირად გამოიხატებოდა: უხასიათობა, უმადობა, ძილის დარღვეული გრაფიკი, უსიამოვნო გემო და სუნი პირის ღრუში, საშინელი თავის ტკივილი და კიდევ სხვა მრავალი. დავიწყე ლელა გეჯაძის ნაყენის მიღება და ეტაპობრივად ყველა პრობლემა უკვალოდ გაქრა. მაგრამ ამას არ დასჭირდა დიდი დრო, სულ რაღაც 40 დღეში აბსოლუტურად ყველა პრობლემა ამილაგდა სიმპტომურად. მან მთხოვა, რომ ექოსკოპია იგივე ექოსკოპისტთან გამეკეთებინა, სადაც პირველად მქონდა გაკეთებული. მივედი და გადავამოწმე, ნაღვლის ბუშტში არც ერთი კენჭი აღარ იყო და მას ისევ ნატურის ფორმა ჰქონდა დაბრუნებული. რაც შეეხება მალებს შორის კისტებს და მისგან გამოწვეულ ტკივილებს, უკვალოდ გაქრა კისტებიც და ტკივილიც. ყველას ვურჩევ ქალბატონ ლელას ნაყენის მიღებას. მართლაც, როგორც ამბობენ, სასწაულმოქმედია და ამას ხმამაღლა ვამბობ!*

P.S. ერთ სტატიაში მადლიერ პაციენტთა სრული სიის გამოქვეყნება, რა თქმა უნდა, ვერ მოხერხდა, მაგრამ, რაც მთავარია, მათ თავად ისურვეს ხალხისთვის მოეყოლათ საკუთარი პრობლემებისა და „ქავთასით“ მკურნალობის შედეგების შესახებ.

**ვისაც გსურთ,**
**დაემშვიდობოთ ჯანმრთელობის პრობლემებს,**
**დაუკავშირდით**
**ლელა გეჯაძეს – ტელეფონის ნომერზე: 595-26-32-17**
**და „ფესბუქის“ გვერდზე:**
**https://www.facebook.com/lela.gejadze.1**

## მამუკა ბახტაძე: „ამ ზაფხულს გვექნება სიურპრიზი“



– ამ ზაფხულს გვექნება სიურპრიზი, რითაც დადასტურდება, რომ რკინიგზა არის ქვეყნის ეკონომიკის სამსახურში ბონდებზე ჩვენი შემოსავლები მიდის ქვემოთ და ჩვენ ამას მხოლოდ მივესალმებით, – ამის შესახებ „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელმა მამუკა ბახტაძემ ჟურნალისტებს მოლითში განუცხადა, სადაც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ, ვიცე-პრემიერ დიმიტრი ქუმსიშვილთან ერთად თბილისი-მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაციის პროექტის მიმდინარეობას გაეცნო.

ბახტაძის თქმით, დღეს მერვე გვირაბის გაყვანა დასრულდა, რაც რკინიგზის დაფინანსებით ხორციელდება.

მისივე თქმით, პროექტის მთავარი მიზანია გაიზარდოს გამტარუნარიანობა ხაშური-ზესტაფონის მონაკვეთზე.

მამუკა ბახტაძის განმარტებით, აღნიშნული პროექტის განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის განვითარებისთვის.

– ჩვენ პროექტის დასრულების ვადად განსაზღვრული გვაქვს 2019 წელი. აღნიშნული პროექტის განხორციელების შემდეგ გამტარუნარიანობის ზრდის გარდა ჩვენ შევძლებთ, რომ მნიშვნელოვნად შევამციროთ დრო შავი ზღვისპირეთის მიმართულებით და ეს დრო შემცირდება ერთი საათით, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

კითხვაზე, თუ რა დანიშნულება მიეცემა იმ მონაკვეთებს, რომელთაც რკინიგზა უკვე აღარ გამოიყენებს, ბახტაძემ აღნიშნა, რომ ჯერ კონკრეტული გადაწყვეტილება მიღებული არ არის, თუმცა შესაბამის უწყებებთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები აღნიშნული აქტივების ათვისებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება კითხვას იმის შესახებ, თუ როგორ შეძლებს რკინიგზა ევრობონდების გასტუმრებას, ბახტაძემ აღნიშნა, რომ „ჩვენი ბონდები უფრო მეტად მომგებიანია ინვესტორებისთვის“.

**მამუკა ბახტაძე:**

– რაც შეეხება ტვირთბრუნვის შემცირებას, როგორც ჩვენი შემოსულობების შემცირებამ არ გამოიწვია ფინანსური შესაძლებლობების შემცირება და პირიქით, ვვარაუდობთ, რომ 2016 წელს იქნება გარკვეული ტიპის შემცირება, მაგრამ 2014-2015 წელს მიღებულმა შემოსავლებმა მოგვცა იმის ფინანსური „ბალიში“, რომ ყველა პროექტი ვადებში მივიყვანოთ ბოლომდე. ამ ზაფხულს კიდევ ერთი სიურპრიზი გვექნება, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდება, რომ რკინიგზა არის ქვეყნის ეკონომიკის სამსახურში, – აღნიშნა მამუკა ბახტაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

## თინა ხიდაშელი: „გვსურს, საქართველო დაინახონ, როგორც შესაძლებლობა და არა საფრთხე“



– გვსურს, საქართველო დაინახონ, როგორც შესაძლებლობა და არა საფრთხე. ჩვენ გვსურს, რომ სხვებმა საქართველო დაინახონ, როგორც შესაძლებლობა და არა საფრთხე რომელიმე ქვეყნის უსაფრთხოებისთვის, – ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი ცარნეგიეევროპე-ის რედაქტორ ჯუდი დემპსისთან ინტერვიუში აცხადებს.

მისივე თქმით, საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება არ იქნება არავის წინააღმდეგ მიმართული.

**თინა ხიდაშელი:**

– რა თქმა უნდა, ჩვენ გვინდა გავხდეთ ნატო-ს წევრი. საქართველო ერთგული და სანდო პარტნიორია. ამავე დროს უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორი მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ეს სამი რამ – ერთგულება, სანდოობა და ტრანსფორმაცია ნატო-ს სტანდარტებს პასუხობს, – აღნიშნავს თინა ხიდაშელი.

ამასთან, როგორც თავდაცვის მინისტრი განმარტავს, საქართველოს აღარ სურს, რომ ის ვინმემ შეაჩეროს.

– 2008 წელს ამ პატარა ქვეყნისთვის მსხვერპლი დიდი იყო. საქართველომ დაკარგა ადამიანები და დაკარგა ტერიტორია. ახლა კი ქვეყნის 20 პროცენტის ოკუპაცია მიმდინარეობს. ომმა მთლიანად ქვეყნის განვითარება შეაჩერა. ჩვენი ეკონომიკური ზრდა გაცილებით მაღალი იყო ომამდე. დიდი დრო დასჭირდა იმას, რომ ჩვენ აღგვედგინა ეს მამოძრავებელი ძალა. ჩვენი ინტეგრაციის პროცესი მაღლა იყო, შემდეგ კი ომის გამო შეჩერდა. ომმა ქვეყნის ოპტიმიზმი გარკვეულწილად გაანადგურა. როდესაც ქვეყანა ვითარდება, ადამიანები უფრო ენთუზიაზმით არიან, უფრო ოპტიმისტურად, ბუნებრივია. ისინი უფრო მეტ ინვესტიციას დებენ და მუშაობენ იმიტომ, რომ მათ აქვთ სტაბილურობის შეგრძნება და რომ მათ შეუძლიათ იმუშაონ, როგორც ნორმალურმა ადამიანებმა. ხოლო როდესაც ომი მიმდინარეობს, ყველაფერი ჩერდება. არავინ იცის რა მოხდება, – აცხადებს თინა ხიდაშელი.

მისივე თქმით, საქართველომ დაიბრუნა თავდაჯერებულობა.

– როდესაც ახალი მთავრობა მოვიდა სათავეში, ჩვენ ვთქვით, რომ არ დავუშვებდით, ეს კიდევ მომხდარიყო. ნატო-ს წევრობა ჩვენს პრობლემებზე ერთადერთი პასუხი არ არის, თუმცა, არსებითია. ეს ასევე დამოკიდებულია იმაზე, ჩვენ როგორ მოვიქცევით, რამდენად პასუხისმგებლიანები ვართ, როგორ ვიმუშავებთ სტრატეგიულად, რომ დავიცვათ ქვეყანა მოულოდნელი საფრთხეებისგან, რის წინაშეც ვდგავართ და ცხადია, რომ ჩვენ გვჭირდება უფრო მეტი მხარდაჭერა, ვიდრე გვაქვს დღეს, – აღნიშნავს თავდაცვის მინისტრი.

**ინტერპრესნიუსი**

## ყაზბეგში დაკავებული ზაზა წიკლაური სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს

ყაზბეგის რაიონის სოფელ ცდოში, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის მიზეზით დაკავებული ზაზა წიკლაური მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ კობა გოცირიძემ სასამართლო დარბაზიდან ხელწერილით გაათავისუფლა.

ხელწერილის მიხედვით, ზაზა წიკლაური 22 აპრილს, 13:00 საათზე სასამართლოში მისი საქმის განხილვაზე უნდა გამოცხადდეს.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრის კორესპონდენტი იტყობინება მცხეთიდან, დაცვის მხარემ მასალების გასაცნობად და მტკიცებულებების შესაგროვებლად 3 დღიანი ვადა



მოითხოვა, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა.

ზაზა წიკლაური პოლიციამ 17 აპრილს, სოფელ ცდოში მიმდინარე მშვიდობიან საპროტესტო აქციაზე დააკავა. ადგილობრივები სოფელში 220 მეგავატიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას აპროტესტებდნენ. თვითმხილველების თქმით, სამუშაოების მწარმოებელი კომპანიის წარმომადგენლებმა პოლიცია გამოიძახეს და ზაზა წიკლაური დააკავეს.

წიკლაური პასუხისგებაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით მიეცა, რაც გულისხმობს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას, ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებას. აღნიშნული მუხლი 250-დან 2000 ლარამდე ჯარიმას ან 15 დღემდე ვადით ადმინისტრაციულ პატიმრობას ითვალისწინებს.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

## ანი მიროტაძე: „ჩვენ მოსახლეობას დაპირებებით თავბრუს არ დავახვევთ“



პარტია „ეროვნული ფორუმის“ წევრის ანი მიროტაძის განცხადებით, პარტიამ უკვე დაიწყო საარჩევნო რეჟიმში მუშაობა.

ამის შესახებ მან „ეროვნული ფორუმის“ გეგმებზე საუბრისას განაცხადა.

**ანი მიროტაძე:**

– ორი კვირაა მხოლოდ, რაც ოპოზიციაში ვართ და დამოუკიდებლად დავიწყეთ საქმიანობა. ეს, რა თქმა უნდა, მოიცავს ყველა მიმართულებაზე მუშაობას, მაგრამ პირველ რიგში, ჩვენ დავიწყეთ მუშაობა საარჩევნო რეჟიმში, რაც ნიშნავს იმას, რომ აბსოლუტურად ობიექტური, მართალი და სამართლიანი მესიჯები გავუგზავნოთ ჩვენი ქვეყნის ამომრჩევლებს.

ჩვენი განმასხვავებელი ის იქნება, რომ მოსახლეობას დაპირებებით თავბრუს არ დავახვევთ.

* * *

შეგახსენებთ, რომ პარტია „ეროვნულმა ფორუმმა“ კოალიცია „ქართული ოცნება“ დაახლოებით ორი კვირის წინ დატოვა და არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის გადაწყვეტილება მიიღო.

**ნიუსპრესი**

# ამერიკელი ექსპერტები: საქართველო რუსეთისთვის ადვილი სამიზნეა




ვაშინგტონში, ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტში ექსპერტებმა რუსეთს და თურქეთს შორის არსებული დაპირისპირება, ამ კონფრონტაციის ესკალაციის შესაძლებლობები და ასევე ის პერსპექტივები განიხილეს, თუ რა გავლენას მოახდენს ეს კონფლიქტი სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებზე.

ამერიკული რადიოსადგური „ღადიო Vოიცე ოფ ǫმერიცა“ ესაუბრა ფრედერიკ სტარს, ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის პროფესორს, რომელიც დარწმუნებულია, რომ სამხრეთ კავკასიაზე რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების გავლენა აშკარაა. მიმდინარე პროცესების გადალახვას, მისი აზრით, აშშ-ის ლიდერობა სჭირდება.

– დღეს ამერიკისთვის იშვიათი შესაძლებლობაა პროცესების სწორი მიმართულებით წარმართვა უზრუნველყოს, ის მთელს კავკასიას გვერდში უნდა დაუდგეს: სომხეთი სუვერენიტეტის დაკარგვას განიცდის, საქართველოს აშფოთებს ტერიტორიების დაკარგვა, აზერბაიჯანს კი უნდა შეინარჩუნოს ის ადგილი, რომელიც აქამდე დაიმკვიდრა მსოფლიოში. ყველაფერი ეს ახლა საფრთხის ქვეშაა, – აცხადებს სტარი.

ექსპერტები თვლიან იმასაც, რომ საქართველო, სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებთან შედარებით, განსაკუთრებით მოწყვლად სიტუაციაშია. ამ გარემოებას კი ის ფაქტიც უწყობს ხელს, რომ ამ ეტაპზე აშშ-ში წინასაარჩევნო პერიოდი სუფევს, როცა საზოგადოების ინტერესი მთლიანად გადატანილია ამერიკის შიდა მოვლენებზე.

– საქართველო ყოველთვის განსაკუთრებით რთულ სიტუაციაშია. მახსენდება სერგეი ლავროვის განცხადება, რომ პანკისის ხეობაში ტერორისტების წვრთნა ხდება. ამის არანაირი საბუთი არ არსებობს. ეს განცხადება კი ჩემთვის ნამდვილი გაფრთხილება და სიგნალია. 2008-შიც ასე იყო, ამერიკის პრეზიდენტის ბოლო ვადის გასვლამდე რამდენიმე თვე რჩებოდა. დღეს საარჩევნო წელი გვიდგას და ბრიუსელი და ვაშინგტონი ისე კარგად ველარ ახდენს საგარეო პოლიტიკაზე ორიენტაციას. ვშიშობ, რომ რუსეთისთვის საქართველო ადვილ სამიზნეს წარმოადგენს, – დასძინა სტარმა.

ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის ცენტრალური აზიისა და კავკასიის ინსტიტუტის დირექტორის სვანტე კორნელის თქმით კი, რუსეთსა და თურქეთს შორის მიმდინარე კონფლიქტმა არასტაბილურობა შესძინა მთელს რეგიონს.

– რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება უშუალო გავლენას ახდენს სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტზე, საქართველოსთვის ეს პროცესი უფრო ზოგადი ხასიათისაა. თუმცა არ არის გამორიცხული მოსკოვი დაინტერესდეს, რათა პრობლემები შეუქმნას საქართველოს სატრანზიტო კორიდორს ან მის დასავლურ მისწრაფებებზე იმოქმედოს. საქართველოს ხელისუფლება აგრძელებს პროდასავლურ კურსს, თუმცა ვფიქრობ, უფრო ფრთხილად, ვიდრე მანამდე. ასევე ფაქტია, რომ ის დღეს ნაკლებად აქტიურობს ამ მიმართულებით და ფიქრობს, რომ რუსეთის ინფილტრაციისა და პროპაგანდის თავისუფლად შემოტევის განეიტრალებას უფრო მეტი საფასური აქვს, ვიდრე პირიქით. ჩემი აზრით, ეს მიდგომა უნდა გადაიხედოს. თბილისმა, ამასთან, დასავლეთს უფრო ნათლად უნდა აუხსნას როგორ ხედავს ამერიკის, დასავლეთის მონაწილეობას საქართველოში სტაბილურობისა და უსაფრთხოების გასაძლიერებლად, – აცხადებს სვანტე კორნელი.

ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის პროფესორის გიორგი მჭედლიშვილი განცხადებით კი, ვითარება ყოველ ზაფხულს არის დაძაბული და რისკი ყოველთვის არსებობს.

– განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 2016 წელი, ისევე, როგორც 2008 წელი, არის ამერიკის პრეზიდენტის მმართველობის ბოლო წელი, ე.წ. ლამე დუცკ, როდესაც ის პოლიტიკურად სუსტია და ქვეყანაში მთელი პოლიტიკური დისკურსი გადატანილია არჩევნებზე, ანუ შიდა და არა საგარეო საკითხებზე. ამ ფაქტით რუსეთმა სამწუხაროდ ისარგებლა 2008 წელს. ვერ ვიტყვი რომ ახლა ამის შესაძლებლობა არის ძალიან მაღალი, მაგრამ მაინც ფრთხილად უნდა ვიყოთ ძალიან. თურქეთთან კონფლიქტი რუსეთს დამატებით ნოყიერ ნიადაგს აძლევს, რომ გააძლიეროს თავისი პოზიციები კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში, – დასძენს მჭედლიშვილი.

**ნიუსპრესი**

## საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარედ გიორგი სეთურიძე დაინიშნა



საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარედ გიორგი სეთურიძე დაინიშნა.

გიორგი სეთურიძე 2016 წლის მარტიდან დღემდე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მრჩეველი იყო. 2015-2016 წლებში მუშაობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დირექტორის მრჩევლად ინფრასტრუქტურული პროექტების განხრით. 2011-2015 წლებში კამარა თრეიდინგ კორპორეიშენის (აშშ) გენერალურ დირექტორად. აქვს ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.

გიორგი სეთურიძე 1969 წლის 10 იანვარს დაიბადა. დამთავრებული აქვს ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, ასევე, თბილისის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის მაგისტრის წოდებით. სრულყოფილად ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

**ნიუსპრესი**

## რესპუბლიკურ პარტიას მისი წევრები ტოვებენ



რესპუბლიკური პარტიის სენაკის ორგანიზაცია 25-მდე წევრმა დატოვა. ამის შესახებ ინფორმაცია სენაკის ადგილობრივი ორგანიზაციის დარჩენილმა წევრებმა დაადასტურეს.

პარტიიდან წასული პირები კონკრეტულ მიზეზებზე არ საუბრობენ.

– ეს ყველაფერი მოსახლეობის განწყობამ განაპირობა, პარტიის მიმართ რატომღაც ნეგატიური განწყობები გაჩნდა, მე კიდევ მოსახლეობის მხარეს ვდგავარ და პირადი გადაწყვეტილებით დავტოვე პარტია. არც ერთ პარტიაში შესვლას არ ვგეგმავ, – განაცხადა ახალსოფლის რწმუნებულმა ირმა ბოჯგუამ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-თან საუბრისას.

**ნიუსპრესი**

# ილჰამ ალიევი: „2008 წელს სააკაშვილმა რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩართვა მთხოვა“

რუსულ გამოცემა „Московский комсомолец“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში მიმოხილულია მთიანი ყარაბაღის გამო სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის გამწვავებასთან დაკავშირებული მოვლენები, მოცემულია სამხედრო დაპირისპირების შესაძლო განვითარების პერსპექტივა და სიტუაცია შედარებულია საქართველოში 2008 წლის აგვისტოში მომხდარ მოვლენებთან (ავტორი – მარინა პერევოზკინა).

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:

აშკარაა, რომ ყარაბაღის კონფლიქტის „გამოღვიძება“ და მისი „გადნობა“ ყველაზე მეტად სომხეთსა და თვით მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკას აინტერესებს, მაგრამ ეს არ აწყობს აზერბაიჯანს, რომელსაც მნიშვნელოვანი ტერიტორიები აქვს დაკარგული. აზერბაიჯანის პრეზიდენტს ავანტიურებში ვერ დაადანაშაულებ, არის იმის მაგალითები, თუ როგორ შეიკავა მან თავი, რომ სხვადასხვა რთულ სიტუაციებში არ ჩარეულიყო. მაგალითად, ცნობილია, რომ 2008 წლის აგვისტოში საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ტელეფონით დაურეკა აზერბაიჯანის ლიდერს და შეეცადა იგი რუსეთის ჯარების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მიზნით გადაებირებინა, მაგრამ ილჰამ ალიევმა თავის ქართველ ექსცენტრიულ კოლეგას აუხსნა, რომ ბაქოს მშვენიერი ურთიერთობები აქვს მოსკოვთან და ამიტომაც სარისკო ნაბიჯს არ გადადგამს. სხვათა შორის, ეს ისტორია თვითონ ილჰამ ალიევმა მოუყვა ერთ-ერთ დასავლელ მაღალჩინოსან დიპლომატს.

ახლა კი რა ხდება? როგორც ჩანს, ეს არ არის ფართომასშტაბიანი ომის დაწყების მცდელობა მთიანი ყარაბაღის დაბრუნების მიზნით. ილჰამ ალიევი კარგად აცნობიერებს, თუ რა კატასტროფა შეიძლება მოჰყვეს ომს და თუ მასში რუსეთი და თურქეთი ჩაერევა, მით უმეტეს... ბაქომ მშვენივრად იცის, რომ ელვისებურ „ბლიცკრიგს“ ვერ განახორციელებს.

ასე რომ, სიტუაციის ბოლო გამწვავება უფრო ე.წ. „ბრძოლით დაზვერვას“ ჰგავს, როცა ერთი მხრივ, მოწინააღმდეგის მზადყოფნის ტესტირება და შემოწმება ხდება, მეორე მხრივ კი – როგორი იქნება რუსეთისა და საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქცია. გარდა ამისა, ნათელი ხდება, თუ რამდენად ძლიერია „მთიანი ყარაბაღის არმია, რამდენად სწრაფად შეიძლება ჩაერთოს სიტუაციაში ერევანი, რამდენი ხანი დასჭირდება სომხეთის არმიის ნაწილების გადასროლას ფრონტის ხაზზე, გამოიდებს თუ არა თავს კრემლი მთიანი ყარაბაღისათვის... ამ კითხვებზე პასუხი აუცილებელია, რათა ისეთივე



შეცდომები არ იქნეს დაშვებული, როგორიც მიხეილ სააკაშვილმა სამხრეთ ოსეთთან მიმართებით დაუშვა. სხვათა შორის, საქართველოში 2008 წლის ომს წინ 2004 წლის მოვლენები უძღოდა, როცა თბილისმა ცხინვალის ხელში ჩასაგდებად პირველი მცდელობა განახორციელა. ამიტომაც ყველა დაინტერესებულმა მხარემ სიფხიზლე არ უნდა დაკარგოს. მოკლედ, „დაზვერვა ბრძოლით“ ნიშნავს, რომ, ალბათ, კონფლიქტის განვითარება წინ არის.

**ნიუსპრესი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ჟირინოვსკი: „ანტიკომუნისტი ვარ, მაგრამ სტალინი მიყვარს!“

ვლადიმერ ჟირინოვსკიმ საზოგადოება კვლავ გააოცა. მან განაცხადა, რომ სტალინი უყვარს.

— რატომღაც სტალინს კომუნისტს უწოდებენ. ეს ასე არაა. მე მტკიცე ანტიკომუნისტი ვარ, მაგრამ სტალინი მიყვარს, — აცხადებს ჟირინოვსკი.

ვლადიმერ ვოლფოვიჩმა თავისი სიყვარულის მიზეზებზე გულახდილად ისაუბრა.

მან თქვა, რომ სტალინი კომუნისტი კი არა, რუსეთის იმპერატორი იყო, ძლიერი ხელმწიფე, რომელმაც კავის ქვეყანა ჩაიბარა და ატომისა დატოვა. სტალინმა თურმე რუსეთის ყველა მტერი გაანადგურა, განახორციელა ინდუსტრიალიზაცია და ზესახელმწიფო შექმნა.

— სტალინს მასობრივ რეპრესიებს ნაკლად მხოლოდ ტენდენციურად განწყობილი ისტორიკოსები ან რუსეთის შეგნებული მტრები უთვლიან! არ უარვყოფ, რეპრესიები გატარდა, მაგრამ ეს კანონზომიერი მოვლენაა. სხვაგვარად იმპერიას ვერ ააშენებ. დიდ სახელმწიფოს მხოლოდ ჭკვიანი, ძლიერი, ულმობელი მმართველი ააშენებს. კეთილი და ჰუმანური პიროვნება ქვეყანას შლის, — ასკვნის ჟირინოვსკი.

რუსი ლიბერალ-დემოკრატების ლიდერი უკრაინულ პრობლემასაც შეეხო.

მან დაადასტურა, რომ გოლოდომორს, უკრაინული ეკლესიის, ინტელიგენციის დევნას ადგილი მართლაც ჰქონდა, მაგრამ გაუმართლებელია, ამას გენოციდი ვუწოდოთ. ეს აბსოლუტურად სწორი პოლიტიკა იყო.

— სტალინს ესმოდა, რომ უკრაინის სოვეტიზაცია შეუძლებელია, ამიტომაც უკრაინაში ძირეული წმენდის ჩატარება განიზრახა. მოკლედ, ეს შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: უკრაინული ეკლესიის, უნივერსიტეტის, მესაკუთრე გლეხებისა და ინტელიგენციის მოსპობა, დანარჩენების რუსული კულტურის წიაღში ათქვეფა. ეს რომ გაგრძელებულიყო, დღეს რუსებსა და უკრაინელებს შორის არავითარი განსხვავება არ იქნებოდა, — ამბობს ჟირინოვსკი.

ვლადიმერ ვოლფოვიჩმა სინანულით აღნიშნა, რომ სტალინის სიკვდილის შემდეგ მისი ხაზის გატარება შეწყდა, რამაც დამღუპველი შედეგები იქონია.

— უკრაინის მიმართ სტალინური ხაზი რომ გაგრძელებულიყო, არც საბჭოთა კავშირი დაინგრეოდა, არც



მაიდანები და რევოლუციები იქნებოდა, არც ბანდიტიზმი, უმუშევრობა, ომები. დღესაც იარსებებდა დიდი სახელმწიფო, რომელიც დედამიწის ერთი მეექვსედი იყო. ხალხიც ბევრად უკეთესად იცხოვრებდა, — ასკვნის ჟირინოვსკი.

# ეკვადორში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს



თანახმად უკანასკნელ მონაცემებისა, მიწისძვრის დროს ეკვადორში 235 ადამიანი დაიღუპა.

ამის თაობაზე ქვეყნის პრეზიდენტის ადმინისტრაცია იუწყება.

ეკვადორში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს. მიმდინარეობს სამაშველო სამუშაოები.

# ბრაზილიის პრეზიდენტის მარცხი



ბრაზილიის პარლამენტის ქვედა პალატის წევრთა უმრავლესობამ პრეზიდენტ რუსეფის იმპიჩმენტს მხარი დაუჭირა. ამას ხმა 345 დეპუტატმა მისცა.

იმისთვის, რომ პრეზიდენტს იმპიჩმენტი გამოუცხადონ, აუცილებელია მინიმუმ 342 დეპუტატის მხარდაჭერა.

ამრიგად, პარლამენტმა იმპიჩმენტს მხარი დაუჭირა. ახლა საქმე სენატს გადაეცემა.

ოპოზიცია რუსეფს კორუფციასა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ადანაშაულებს.

რუსეფი ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს.

— ოპოზიციამ სახელმწიფო გადატრიალება განიზრახა, — ამტკიცებს იგი.

# ლატვიაში ნატოს სამხედრო სწავლებები დაიწყო



ლატვიაში ნატოს სამხედრო სწავლებები დაიწყო. მასში მონაწილეობენ აშშ-ს, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, გერმანის, ფინეთის, კანადის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები.

— ეს სწავლებები გაფრთხილებაა ე.წ. „ჰიბრიდული ომების“ მოყვარულთათვის, — განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა რასმუნსენმა.

# გაეროს სირიის არჩევნების ცნობა არ სურს



სირიაში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მასში პარტია ბაასმა (არაბული სოციალისტური აღორძინება) გაიმარჯვა. მისი ლიდერი სირიის ამჟამინდელი დიქტატორი ბაშარ ასადია. პარლამენტში ასადის მოკავშირეებიც მოხვდნენ.

ოპოზიციამ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა.

არჩევნები მხოლოდ სირიის იმ ნაწილში ჩატარდა, რომელსაც ასადი აკონტროლებს. ქვეყნის სამი მეოთხედი ოპოზიციის ხელშია. არჩევნები იქ არ ჩატარებულა.

სირიული ოპოზიცია აცხადებს, რომ არჩევნების შედეგებს არ ცნობს. მსგავსია გაეროს პოზიციაც.

— ჩვენ არ გვსურს ამ არჩევნების ცნობა, არჩევნები სირიაში დაახლოებით 18 თვის შემდეგ უნდა ჩატარებულიყო, როცა ცეცხლი შეწყდებოდა და ნორმალური საარჩევნო გარემო შეიქმნებოდა, — განაცხადა გაეროს წარმომადგენელმა.

# ევროკავშირს შეზღუდული უვიზო რეჟიმის შემოღება სურს




ევროკავშირს საქართველოსთან, თურქეთთან, უკრაინასა და კოსოვოსთან შეზღუდული უვიზო რეჟიმის შემოღება სურს.

კერძოდ, ევროპის ქვეყნებს უნდათ შემოიღონ პუნქტი, რომელიც მათ უვიზო რეჟიმის გადავადების უფლებას მისცემს იმ შემთხვევაში, თუ ხსენებული ქვეყნები ევროპრინციპებს გადაუხვევენ.

ამას მოითხოვენ გერმანია და საფრანგეთი.

საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული. 21 აპრილს ლუქსემბურგში ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები შეიკრიბებიან.

საქართველოს, უკრაინის, თურქეთისა და კოსოვოსათვის უვიზო რეჟიმის მინიჭების საკითხზე ცხარე დისკუსია გაიმართება.



# მაფიის ბოსი მატჩის ყურების დროს დააპატიმრეს

იტალიის პოლიციამ კამორას (ნეაპოლის მაფია) ხელმძღვანელ რობერტო მანგანიელოს წინააღმდეგ სპეცოპერაცია ჩაატარა.

ის ერთ-ერთ ყველაზე საშიშ დამნაშავედ ითვლება. იტალიის პოლიცია მას კარგა ხანია კვალში ჩაუდგა. მანგანიელოც მიიმალა. ვარაუდობდნენ, რომ ის საზღვარგარეთ გაიქცა. შემდგომში გაირკვა, რომ მაფიოზი თურმე ნეაპოლში სხვა გვარით ცხოვრობდა.

პოლიციამ მანგანიელოს ადგილსამყოფელი დაადგინა. ახლა რჩებოდა მთავარი: კამორას ლიდერის ცოცხლად შეპყრობა. პოლიციამ გაიგო, რომ მანგანიელომ ერთ-ერთ ფირმას სპაგეტი და ღვინო შეუკვეთა. პოლიციელებმაც ხსენებული ფირმის უნიფორმა ჩაიცვეს და მანგანიელოს საჭმელ-სამელი შინ მიართვეს.

ამ დროს კამორას ლიდერი ტელევიზორს უყურებდა. გადმოსცემდნენ საფეხბურთო მატჩს ინტერსა და ნაპოლს შორის.

მანგანიელოს ხელბორკილი მაშინ დაადეს, როცა ინტერმა პირველი ტაიმის მიწურულს ნაპოლის კარში მეორე გოლი გაიტანა.

ანგარიში გახდა 2:0 ინტერის სასარგებლოდ, კამორას ლიდერი კი ციხეში წააბრძანეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

### მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

# სამტრედია მეორეა, მსაჯებს კვლავ შეეხნენ

გაიმართა საქართველოს საფეხბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

**გურია – ტორპედო 3:2**

**ლანჩხუთი.** ევგრაფი შევარდნაძე

1:0 მოროზენკო (20), 1:1 კაპანაძე (27), 1:2 ადამაძე (61), 2:2 მოროზენკო (65), 3:2 სმოლი (70)

**გურია:** ჯოვანოვიჩი, პატერსონი, ზოზულია, მორალესი, ნოზაძე, გელაშვილი (ალავერდაშვილი 33), კილაძე (ბენეტი 64), კახელიშვილი (გამყრელიძე 75), მოროზენკო, კვეკვესკირი, კარდენასი

**ტორპედო:** ქვილითაია, ტაბატაძე, ადამაძე, ჭიჭინაძე, ქიმაძე, მამასახლისი (ბაბუნაშვილი 46), კლიმიაშვილი, კუხიანიძე, ტუღუში (ბრეგვაძე 69), შინდაგორიძე (კვერნაძე 76), კაპანაძე

გათამაშების ცხრილში სახიფათო ზონაში მყოფმა გურიამ ხუთმატჩიანი მოუგებელი სერიის შემდეგ, წინა ტურში სტუმრად ბათუმის დინამოს დამარცხება მოახერხა და ახლა ტორპედოსთან უხვგოლიან თამაშშიც 3 ქულა მიითვალა, რითაც აუტსაიდერთა ზონას 5 ქულით დაშორდა.

ლანჩხუთელები მე-20 წუთზე დაწინაურდნენ. მათმა უკრაინელმა ლეგიონერმა ევგენი მოროზენკომ შესანიშნავად შეასრულა საჯარიმო და მაქსიმე ქვილითაიას ბურთი მარჯვენა კუთხეში გაუტანა. რიონისპირელებმა მალევე გაათანაბრეს – გიორგი კუხიანიძემ მინდვრის სიღრმიდან ზუსტი პასით თორნიკე კაპანაძე მეკარესთან პირისპირ დატოვა და მანაც ორიგინალურად გადაატარა ბურთი ჯოვანოვიჩს.

შესვენების შემდეგ გარკვეული დრო უპირატესობას ტორპედოელები ფლობდნენ და შეცვლაზე გამოსული შოთა ბაბუნაშვილის მიერ ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ გურამ ადამაძემ ახლოდან თავურით წინ გაიყვანა თავისიანები, თუმცა არცთუ დიდი ხნით. 65-ე წუთზე ქვილითაიამ არცთუ დამაჯერებლად მოიგერია საჯარიმოში მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი, გადმოვარდნილი უმეთვალყურეოდ დარჩენილ მოროზენკოს მიუვიდა და ზუსტმა დარტყმამ არ დააყოვნა.

70-ე წუთზე მასპინძლებმა მესამედ აიღეს მეტოქის კარი. ეს სწრაფად გათამაშებული კუთხურის შემდეგ მოხდა. საჯარიმოში ჩაგდებულ ბურთზე ტორპედოელ მცველებს გურულთა პანამელმა ფორვარდმა კარდენასმა დაასწრო – 3:2.

ტორპედოელთა ამ თამაშს სტუმართა ლოჟიდან ალექსანდრ შტელინი ადევნებდა თვალს. გუნდის მთავარ მწვრთნელს გულის კორონარული არტერიის სტენტირების შემდეგ საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის ვადა ეწურება. უკრაინელ სპეციალისტს ამ დღეებში სრულფასოვან გამოკვლევას ჩაუტარებენ და შემდეგ გადაწყდება, დარჩება თუ არა ტორპედოში სამუშაოდ.

**საბურთალო – კოლხეთი 5:0**

**თბილისი.** მიხეილ მესხი 2

1:0 გოშთელიანი (2), 2:0 ფანცულაია (54), 3:0 ხარაიშვილი (79პ), 4:0 ცაცკრიალაშვილი (85), 5:0 გოშთელიანი (87)

**საბურთალო:** გოშაძე, სოფრომაძე, მამუჩაშვილი, თოთაძე, ნადარაია, ცაცკრიალაშვილი, ხარაიშვილი (ალთუნაშვილი 81), ელვინ ტერა (ბიძინაშვილი 67), რუხაძე (გვარაძე 75), ფანცულაია, გოშთელიანი

**კოლხეთი:** სეფიაშვილი, თუხარელი (ქებურია 60), ლ. კაკულია, კვარაცხელია (ჟიშკარიანი 60), სიჭინავა (ნიქაბაძე 46), გიგაური, თ. კაკულია, ჩაკვეტაძე, ლემონჯავა, გოგონაია, გურეშიძე

მატჩი დაბალ ტემპში დაიწყო, თუმცა ხიფათი ორივე კართან შეიქმნა. პირველი ტაიმის დასრულების შემდეგ კაცი ვერ იფიქრებდა, რომ ასეთი ანგარიში დაფიქსირდებოდა, მაგრამ...

მასპინძლებმა შეხვედრის დასაწყისშივე გაიტანეს, რამაც ხელი შეუწყო საბურთალოს გამარჯვებას – მე-2 წუთზე გიორგი ფანცულაია მარცხენა ფლანგიდან შეიჭრა, შემდეგ კარშიც დაარტყა, მაგრამ მეკარე კონსტანტინე სეფიაშვილი გადაეღობა, ყველას კი გურამ გოშთელიანმა დაასწრო და ანგარიშიც გახსნა – 1:0.

ტაიმიც ასე დასრულდა.

მეორე ტაიმის დებიუტში გიორგი ფანცულაიას მართებდა ორამდე ანგარიშის გაზრდა, მაგრამ გამარჯვებული გოლკიპერი გამოვიდა, რომელმაც დარტყმის კუთხე გამოიცნო. 54-ე წუთზე კი ანგარიში ორამდე გაიზარდა: ირაკლი რუხაძის ჩაწოდების შემდეგ ფანცულაიამ ახლო მანძილიდან გადაგზავნა ბურთი კარში. მეორე ტაიმში სტუმრებს შეტევაში არაფერი გამოსდიოდათ, კარის სიახლოვეს მისვლაც უჭირდათ.

67-ე წუთზე მასპინძელთა ესპანელმა სპეციალისტმა პაბლო ფრანკო მარტინიმ თამაშში ირაკლი ბიძინაშვილი ჩართო, რომელმაც კიდევ უფრო გამოაცოცხლა თავისიანები. მესამე და მეოთხე გოლები სწორედ მისი დამსახურებაა:



79-ე წუთზე ბიძინაშვილი საჯარიმოში წააქციეს და პენალტი ხარაიშვილმა ზუსტად შეასრულა. რამდენიმე წუთში ბიძინაშვილის ჩაწოდებულ ბურთს საჯარიმოში რატი ცაცკრიალაშვილი დაუხვდა, ხოლო მატჩს საბოლოო წერტილი გოშთელიანმა დაუსვა, რომელმაც 87-ე წუთზე დუბლი მიითვალა.

**საპოვნელა – ზუგდიდი 2:2**

**ზესტაფონი.** დავით აბაშიძე

0:1 წურწუმია (34), 1:1, 2:1 ბუხაიძე (44, 45), 2:2 წურწუმია (67)

**საპოვნელა:** სომხიშვილი, ოდიკაძე, ჩიკვილაძე, ენდელაძე, ნარიმანიძე, ბოლქვაძე, შარიქაძე (ბანძელაძე 39), ქათამაძე, გულუა (ბიბილეიშვილი 64), მაკარიძე (მიქაბერიძე 78), ბუხაიძე

**ზუგდიდი:** ზარქუა, გაგოშიძე, ჯავაშვილი, ჩუკვურაჰი, ქანთარია, ტყემალაძე, წურწუმია (ჩანადირი 88), სიხარულია, გ.სამუშია, ლაშხია (ქობალია 63), კოვალენკო (შეველი 63)

გადარჩენისთვის მებრძოლი გუნდების ჯახი დაძაბული და ნერვული გამოდგა. ამ ტურში მე-2 მატჩი იყო, სადაც ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. მსაჯებს მოედნის დატოვება გაუჭირდათ, იყო ფიზიკური კონტაქტიც.

მატჩს რა შეეხება, დუბლი მიითვალეს წურწუმიამ და ბუხაიძემ, რითიც ორივე გუნდი უკმაყოფილო დარჩა.

**შუქურა – დილა 1:0**

**ქობულეთი.** ჩელე არენა

1:0 ლობჯანიძე (79)

**შუქურა:** სტურუა, აფაქიძე, მალანია, გეგეჭკორი (ურიდია 46), დოლიძე, პუკანიჩი, ჩალაძე, თარხნიშვილი, მოსიაშვილი (გეწაძე 69), კომახიძე, ლობჯანიძე (კაკალაძე 80)

**დილა:** ლეგაშვილი, კვირკველია, ბაგაევი, სამხარაძე, ძარია (გამცემლიძე 81), თექთურმანიძე (წიქარიძე 61), ფალავანდიშვილი, ნონიკაშვილი, მარცვალაძე, ჩელებაძე (მოდებაძე 68), მაშუკოვი

მე-2 ადგილისთვის მებრძოლმა დილამ უმოტივაციო შუქურასთან წააგო და ვერცხლის მედლისთვის ბრძოლა გართულებულად მოუწევს.

ერთადერთი გოლი ლობჯანიძემ თამაშის მიწურულს გაიტანა.

**სამტრედია – ცხინვალი 2:1**

**სამტრედია.** ეროსი მანჯგალაძე

0:1 გაბრიჩიძე (78), 1:1 სიხარულიძე (84), 2:1 ზივზივაძე (90)

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, მჭედლიშვილი (იოსელიანი 76), გოგიაშვილი, სანდოხაძე, შერგელაშვილი, ცნობილაძე, რაჟამაშვილი, მარკოზაშვილი (სიხარულიძე 69), ენდელაძე (დათუნაიშვილი 33), ზივზივაძე, დ.ჯიქია

**ცხინვალი:** ნადირაძე, ბაჩიაშვილი, მაისაშვილი, გორგიაშვილი, ჯაფარიძე, ივანიშვილი (შენგელია 86), ბეჭვაია, გაბრიჩიძე, ქარდავა, ლექვთაძე (ჯიშკარიანი 76), ლობჯანიძე (ბურძენაძე 59)

**გაძევება:** სანდოხაძე (76)

76-ე წუთზე სამტრედიელები 10 კაცით დარჩნენ და მალევე გოლიც გაუშვეს, მაგრამ დარჩენილ წუთებში ირაკლი სიხარულიძემ და ბუდუ ზივზივაძემ გაიტანეს. გია ცეცაძის გუნდი მეორე ადგილზე დარჩა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 25 | 21 | 1 | 3 | 64-23 | 64 |
| 2.სამტრედია | 25 | 17 | 2 | 6 | 57-28 | 53 |
| 3.დილა | 25 | 15 | 5 | 5 | 39-20 | 50 |
| 4.სიონი | 25 | 13 | 7 | 5 | 45-26 | 46 |
| 5.ჩიხურა | 25 | 14 | 4 | 7 | 43-21 | 46 |
| 6.ცხინვალი | 25 | 10 | 8 | 7 | 41-32 | 38 |
| 7.დინამო (ბთ) | 25 | 10 | 6 | 9 | 35-27 | 36 |
| 8.შუქურა | 25 | 9 | 7 | 9 | 24-26 | 34 |
| 9.ტორპედო | 25 | 9 | 6 | 10 | 35-38 | 33 |
| 10.საბურთალო | 25 | 9 | 6 | 10 | 39-50 | 33 |
| 11.კოლხეთი | 25 | 7 | 5 | 13 | 18-31 | 26 |
| 12.ლოკომოტივი | 25 | 5 | 8 | 12 | 23-30 | 23 |
| 13.გურია | 25 | 5 | 8 | 12 | 24-41 | 23 |
| 14.მერანი | 25 | 4 | 6 | 15 | 22-51 | 18 |
| 15.ზუგდიდი | 25 | 3 | 7 | 15 | 24-54 | 16 |
| 16.საპოვნელა | 25 | 3 | 6 | 16 | 16-51 | 15 |

# ბრუკლინ ნეთსს საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი უთავკაცებს



საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი კენი ატკინსონი ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის კლუბ ბრუკლინ ნეთსის თავკაცად დაინიშნა.

ატკინსონი ატლანტა ჰოუქსის სამწვრთნელო შტაბში მუშაობდა და ის „ქორების“ თავკაცის, მაიკ ბუდენჰოლცერის ასისტენტი გახლდათ. ატკინსონს ეს პოსტი ბოლო 4 წელია, ეკავა და ატლანტელთა სამწვრთნელო შტაბში მიმდინარე პლეი ოფის დასრულებამდეც იმუშავებს, რომლის შემდეგაც ნიუ იორკში გადაინაცვლებს და ბრუკლინურ კლუბს ჩაიბარებს.

48 წლის კენი ატკინსონი საქართველოს ეროვნული ნაკრების სამწვრთნელ შტაბში 2005-08 წლებში მუშაობდა. ის ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელების – გორდონ ჰერბერტისა და კენ შილდსის ასისტენტი გახლდათ. ამ სამეულმა ვერ მოახერხა საქართველოს ეროვნული ნაკრების „ბ“ დივიზიონიდან „ა“-ში ანაცვლება და 2008 წლიდან საქართველო იგორ კოკოშკოვმა ჩაიბარა.

ატკინსონს სხვა ეროვნულ ნაკრებებში მუშაობის გამოცდილებაც აქვს. ის უკრაინის ნაკრებში მაიკ ფრატელოს ასისტენტიც გახლდათ, ხოლო გასულ წელს ფიბა-ამერიკის ჩემპიონატზე დომინიკის რესპუბლიკის ეროვნულ გუნდს წვრთნიდა.

# შედეგები

17 აპრილი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბორნმუთი-ლივერპული ................ 1:2
ლესტერი-ვესტ ჰემი ................ 2:2
არსენალი-კრ.პალასი ................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 34 | 21 | 10 | 3 | 59-33 | 73 |
| 2.ტოტენჰემი | 33 | 18 | 11 | 4 | 60-25 | 65 |
| 3.სიტი | 33 | 18 | 6 | 9 | 61-33 | 60 |
| 4.არსენალი | 33 | 17 | 9 | 7 | 56-34 | 60 |
| 5.მანჩესტერი | 33 | 16 | 8 | 9 | 40-30 | 56 |
| 6.ვესტ ჰემი | 33 | 13 | 14 | 6 | 54-42 | 53 |
| 7.საუთჰემპტონი | 34 | 14 | 9 | 11 | 45-35 | 51 |
| 8.ლივერპული | 32 | 14 | 9 | 9 | 52-43 | 51 |
| 9.სტოკი | 33 | 13 | 8 | 12 | 37-43 | 47 |
| 10.ჩელსი | 33 | 11 | 11 | 11 | 49-45 | 44 |
| 11.ევერტონი | 33 | 9 | 14 | 10 | 53-44 | 41 |
| 12.უოტფორდი | 33 | 11 | 8 | 14 | 32-37 | 41 |
| 13.ბორნმუთი | 34 | 11 | 8 | 15 | 41-57 | 41 |
| 14.ვესტ ბრომვიჩი | 33 | 10 | 10 | 13 | 31-40 | 40 |
| 15.სუონსი | 34 | 10 | 10 | 14 | 34-45 | 40 |
| 16.კრ.პალასი | 34 | 10 | 9 | 15 | 36-43 | 39 |
| 17.ნორვიჩი | 34 | 8 | 7 | 19 | 35-60 | 31 |
| 18.სანდერლენდი | 33 | 7 | 9 | 17 | 39-57 | 30 |
| 19.ნიუკასლი | 33 | 7 | 7 | 19 | 35-61 | 28 |
| 20.ასტონ ვილა | 34 | 3 | 7 | 24 | 23-65 | 16 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

მალაგა-ბილბაო ................ 0:1
სევილია-დეპორტივო ................ 1:1
რაიო-ვილიარეალი ................ 2:1
ატლეტიკო-გრანადა ................ 3:0
ბარსელონა-ვალენსია ................ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 33 | 24 | 4 | 5 | 88-29 | 76 |
| 2.ატლეტიკო | 33 | 24 | 4 | 5 | 57-16 | 76 |
| 3.რეალი | 33 | 23 | 6 | 4 | 98-30 | 75 |
| 4.ვილიარეალი | 33 | 17 | 9 | 7 | 42-28 | 60 |
| 5.ბილბაო | 33 | 16 | 6 | 11 | 51-40 | 54 |
| 6.სელტა | 33 | 15 | 8 | 10 | 46-53 | 53 |
| 7.სევილია | 33 | 13 | 10 | 10 | 46-40 | 49 |
| 8.მალაგა | 33 | 10 | 11 | 12 | 30-30 | 41 |
| 9.ეიბარი | 33 | 11 | 8 | 14 | 45-49 | 41 |
| 10.სოსიედადი | 33 | 11 | 8 | 14 | 41-44 | 41 |
| 11.ლას პალმასი | 33 | 11 | 7 | 15 | 38-45 | 40 |
| 12.ვალენსია | 33 | 10 | 10 | 13 | 38-40 | 40 |
| 13.დეპორტივო | 33 | 7 | 17 | 9 | 42-48 | 38 |
| 14.ბეტისი | 33 | 9 | 11 | 13 | 30-46 | 38 |
| 15.ესპანიოლი | 33 | 10 | 6 | 17 | 34-62 | 36 |
| 16.რაიო | 33 | 8 | 10 | 15 | 45-65 | 34 |
| 17.გრანადა | 33 | 7 | 9 | 17 | 33-60 | 30 |
| 18.ხიხონი | 33 | 7 | 8 | 18 | 33-54 | 29 |
| 19.ლევანტე | 33 | 7 | 7 | 19 | 30-56 | 28 |
| 20.ხეტაფე | 33 | 7 | 7 | 19 | 29-61 | 28 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ხიმნასტიკი-ოვიედო ................ 0:0
ალკორკონი-ლეგანესი ................ 2:0
უესკა-კორდობა ................ 0:2
პონფერადინა-ალმერია ................ 1:3
ტენერიფე-ალბასეტე ................ 1:0
მალიორკა-ოსასუნა ................ 1:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

დორტმუნდი-ჰამბურგი ................ 3:0
მაინცი-კიოლნი ................ 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 30 | 25 | 3 | 2 | 72-14 | 78 |
| 2.დორტმუნდი | 30 | 22 | 5 | 3 | 72-30 | 71 |
| 3.ლევერკუზენი | 30 | 15 | 6 | 9 | 47-33 | 51 |
| 4.ჰერტა | 30 | 14 | 7 | 9 | 40-36 | 49 |
| 5.გლადბახი | 30 | 14 | 3 | 13 | 59-47 | 45 |
| 6.მაინცი | 30 | 13 | 6 | 11 | 42-39 | 45 |
| 7.შალკე | 30 | 13 | 6 | 11 | 41-43 | 45 |
| 8.ვოლფსბურგი | 30 | 10 | 9 | 11 | 42-41 | 39 |
| 9.ინგოლშტადტი | 30 | 10 | 9 | 11 | 27-33 | 39 |
| 10.კიოლნი | 30 | 9 | 10 | 11 | 32-39 | 37 |
| 11.დარმშტადტი | 30 | 8 | 11 | 11 | 34-44 | 35 |
| 12.ჰამბურგი | 30 | 9 | 7 | 14 | 35-43 | 34 |
| 13.ჰოფენჰაიმი | 30 | 8 | 10 | 12 | 35-45 | 34 |
| 14.აუგსბურგი | 30 | 8 | 9 | 13 | 38-48 | 33 |
| 15.შტუტგარტი | 30 | 9 | 6 | 15 | 46-60 | 33 |
| 16.ვერდერი | 30 | 8 | 7 | 15 | 42-61 | 31 |
| 17.აინტრახტი | 30 | 6 | 9 | 15 | 29-49 | 27 |
| 18.ჰანოვერი | 30 | 6 | 3 | 21 | 26-54 | 21 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

არმინია-კაიზერი ................ 0:1
ფიურტი-ფორტუნა ................ 3:1
უნიონი-ჰაიდენჰაიმი ................ 1:0

**იტალია. სერია ა**

ატალანტა-რომა ................ 3:3
უდინეზე-კიევო ................ 0:0
ვერონა-ფროზინონე ................ 1:2
იუვენტუსი-პალერმო ................ 4:0
ფიორენტინა-სასუოლო ................ 3:1
ლაციო-ემპოლი ................ 2:0
სამპდორია-მილანი ................ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 33 | 25 | 4 | 4 | 62-17 | 79 |
| 2.ნაპოლი | 33 | 21 | 7 | 5 | 66-29 | 70 |
| 3.რომა | 33 | 18 | 11 | 4 | 70-36 | 65 |
| 4.ინტერი | 33 | 18 | 7 | 8 | 44-30 | 61 |
| 5.ფიორენტინა | 33 | 17 | 8 | 8 | 54-36 | 59 |
| 6.მილანი | 33 | 14 | 10 | 9 | 43-35 | 52 |
| 7.სასუოლო | 33 | 12 | 12 | 9 | 41-38 | 48 |
| 8.ლაციო | 33 | 13 | 9 | 11 | 44-42 | 48 |
| 9.კიევო | 33 | 12 | 9 | 12 | 38-40 | 45 |
| 10.ტორინო | 33 | 11 | 9 | 13 | 42-44 | 42 |
| 11.ჯენოა | 33 | 11 | 7 | 15 | 38-41 | 40 |
| 12.ემპოლი | 33 | 10 | 9 | 14 | 36-45 | 39 |
| 13.ბოლონია | 33 | 10 | 7 | 16 | 31-38 | 37 |
| 14.ატალანტა | 33 | 9 | 10 | 14 | 34-41 | 37 |
| 15.სამპდორია | 33 | 9 | 9 | 15 | 46-50 | 36 |
| 16.უდინეზე | 33 | 9 | 8 | 16 | 29-48 | 35 |
| 17.კარპი | 33 | 7 | 10 | 16 | 33-51 | 31 |
| 18.ფროზინონე | 33 | 8 | 6 | 19 | 31-61 | 30 |
| 19.პალერმო | 33 | 7 | 7 | 19 | 29-61 | 28 |
| 20.ვერონა | 33 | 3 | 13 | 17 | 28-56 | 22 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ნანტი-მონპელიე ................ 0:3
რენი-გენგამი ................ 0:2
მონაკო-მარსელი ................ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 34 | 27 | 5 | 2 | 89-18 | 86 |
| 2.მონაკო | 34 | 15 | 13 | 6 | 50-41 | 58 |
| 3.ლიონი | 34 | 16 | 8 | 10 | 55-35 | 56 |
| 4.ნიცა | 34 | 15 | 9 | 10 | 51-38 | 54 |
| 5.სტ.ეტიენი | 34 | 16 | 6 | 12 | 40-34 | 54 |
| 6.ლილი | 34 | 13 | 13 | 8 | 37-27 | 52 |
| 7.რენი | 34 | 13 | 12 | 9 | 50-45 | 51 |
| 8.ანჟე | 34 | 13 | 10 | 11 | 38-33 | 49 |
| 9.კაენი | 34 | 14 | 4 | 16 | 35-50 | 46 |
| 10.ნანტი | 34 | 11 | 11 | 12 | 30-37 | 44 |
| 11.ლორიანი | 34 | 10 | 13 | 11 | 46-52 | 43 |
| 12.ბასტია | 34 | 12 | 7 | 15 | 31-38 | 43 |
| 13.ბორდო | 34 | 10 | 13 | 11 | 42-53 | 43 |
| 14.გენგამი | 34 | 11 | 9 | 14 | 42-49 | 42 |
| 15.მარსელი | 34 | 8 | 16 | 10 | 44-40 | 40 |
| 16.მონპელიე | 34 | 11 | 7 | 16 | 40-42 | 40 |
| 17.რეიმსი | 34 | 9 | 9 | 16 | 38-50 | 36 |
| 18.გაზელეკი | 34 | 7 | 13 | 14 | 33-49 | 34 |
| 19.ტულუზა | 34 | 7 | 12 | 15 | 39-50 | 33 |
| 20.ტრუა | 34 | 3 | 8 | 23 | 24-73 | 17 |

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

აიაქსი-უტრეხტი ................ 2:2
ნაიმეგენი-კამბური ................ 2:1
ტილბურგი-დენ ჰააგი ................ 0:2
ექსელსიორი-ჰერენვენი ................ 1:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბელენენსეში-აკადემიკა ................ 1:1
მადეირა-ფერეირა ................ 3:4
მარიტიმუ-გიმარაეში ................ 3:0
პორტუ-ნასიონალი ................ 4:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

უფა-ანჟი ................ 0:2
დინამო-კრილია ................ 0:1
ყუბანი-როსტოვი ................ 0:1

**შოტლანდია. თასი**

რეინჯერსი-სელტიკი ................ 2:2(5:4პ)

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუგანო-თუნი ................ 2:1
იანგ ბოიზი-ვადუცი ................ 5:4
სტ.გალენი-ბაზელი ................ 0:7

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რაპიდი-აუსტრია ................ 2:1

**ბელგია. იუპილერლიგა**

ანდერლეხტი-ბრიუგე ................ 1:0
მუსკრონი-სტანდარდი ................ 2:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ასტერასი-ვერია ................ 2:1
ირაკლისი-პანეთოლიკოსი ................ 0:0
ლევადიაკოსი-აეკი ................ 3:0
ოლიმპიაკოსი-კალონი ................ 5:0
პანათინაიკოსი-პანთრათიკოსი ................ 6:1
პანიონიოსი-ათრომიტოსი ................ 0:1
პლატანიასი-პაოკი ................ 0:0
ქსანთი-იანინა ................ 0:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბასაკშეჰირი-გაზიანთები ................ 4:1
ქაშიმფაშა-ქაისერი ................ 1:2
ბურსა-აკჰისარი ................ 0:2
ფენერბახჩე-მერსინი ................ 4:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

იაგელონია-ლეჩნა ................ 2:0
პოდბესკიჟიე-ტერმალიცა ................ 0:1
ვისლა-გურნიკი ................ 3:1

**დანია. სუპერლიგა**

ოდენსე-ვიბორგი ................ 5:1
ოლბორგი-სონდერიისკე ................ 1:2
კოპენჰაგენი-ბრონდბიუ ................ 2:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

იონკოპინგი-გეფლე ................ 1:0
ნორჩიოპინგი-აიკი ................ 4:1
გიოტებორგი-კალმარი ................ 1:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

კეიმი-მარიეჰამნი ................ 1:2
ვაატა-ვპს ................ 0:2

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ბოდო გლიმტი-მიოლდე ................ 1:2
ალესუნდი-ვიკინგი ................ 1:2
სარპსბორგი-სტაბეკი ................ 1:1
ვალერენგა-ტრომსო ................ 4:0
ოდ გრელანდი-სტარტი ................ 3:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# რუმინელი მასწავლებელი სკოლიდან პორნოს გამო გაუშვეს



რუმინეთის სოფლის სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი მას შემდეგ იქნა გათავისუფლებული სამსახურიდან, როდესაც მისმა ერთ-ერთმა მოსწავლემ მისი ეროტიკული ფოტოსურათები და პორნოგრაფიული ვიდეო გაავრცელა.

14 წლის მოსწავლემ მასწავლებლის, სახელად გეორგიანას შეუფერებელი მასალები ინტერნეტში აღმოაჩინა და ისინი თანაკლასელებს გაუზიარა. მალე 27 წლის მასწავლებლის შეუფერებელი ქცევის თაობაზე ინფორმაციამ მოსწავლეთა მშობლებამდე და სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციამდეც მიაღწია და მას სკოლის დატოვება მოსთხოვეს.

სკოლის დირექტორმა მარიანა კატრინამ შიდა გამოძიება დაიწყო. მისი თქმით, როდესაც მან ფოტოსურათები გეორგიანეს აჩვენა, მასწავლებელმა განაცხადა, რომ ეს სიყალბე იყო.

– ჩემი აზრით, სიტუაცია მეტად სერიოზულია, ვინაიდან სკოლის მორალურ და სამართლებრივ სტანდარტებს სრულიად ეწინააღმდეგება.

ახალგაზრდა მასწავლებელმა სკოლაში მუშაობა სკანდალამდე ორი წლით ადრე დაიწყო.

# გეიპინგვინები ბერლინის ზოოპარკიდან გამოყარეს



გერმანიაში ბერლინის ზოოპარკიდან ორი სამეფო პინგვინი იმის გამო გააძევეს, რომ ისინი საერთოდ არ აქცევდნენ ყურადღებას მდედრ თანამოძმეებს. ფრინველები ჰამბურგის ზოოლოგიურ ბაღში გადაიყვანეს და მათ მსგავს ჰომოსექსუალ წყვილებთან ერთად მოათავსეს.

– რამდენადაც მივხვდით, ისინი გეები არიან და ამიტომ ვერ გამრავლდებიან. იმის ნაცვლად, რომ მდედრებით იყვნენ დაინტერესებულნი, ერთმანეთის ალერსით არიან დაკავებულნი, – განაცხადა ბერლინის ზოოპარკის წარმომადგენელმა კრისტიან რაისმა.

აღსანიშნავია, რომ სამეფო პინგვინები ზოოპარკებში ხშირად ავლენენ ჰომოსექსუალურ ქცევებს. მაგალითად, ასეთივე ერთსქესიანი წყვილი იყო როი და საილოუ, რომლებიც ნიუ იორკის ცენტრალური პარკის ზოოპარკში ცხოვრობდნენ. მათ ერთად ექვსი წელი იცხოვრეს და გაზარდეს ბარტყი, სახელად ტანგო, რომელიც ხელოვნურად განაყოფიერებული კვერცხიდან გამოიჩეკა და რომელიც ზოოპარკის თანამშრომლებმა პინგვინებს დაუდეს.

# ბრიტანელ სტრიპტიზიორს პლასტიკური ოპერაციისთვის ფული არ ენანება



ბრიტანეთის უორკშირის საგრაფოს მცხოვრებმა 85 ათასი დოლარი დახარჯა თავისი და დედის პლასტიკურ ოპერაციებში. ეს თანხა კი მან სტრიპტიზის წყალობით იშოვა.

21 წლის კეილა მორისმა გაიდიდა მკერდი, დუნდულები, ტუჩები, გაიკეთა ლიპოსაქცია, ბოტოქსის ინექცია. შეიცვალა ცხვირის ფორმა. გოგონას დედამ, 39 წლის ჯორჯია კლარკმა მკერდის გადიდების ოპერაცია გაიკეთა და პერმანენტული მაკიაჟის პროცედურა ჩაიტარა. ასევე ის რეგულარულად დადის სოლარიუმში. დედა-შვილის თქმით, ისინი ესწრაფვიან დაემსგავსონ ამერიკელ მომღერალ კეტი პრაისს და ამიტომ არ აპირებენ შეწყვიტონ ქირურგიულ კაბინეტებში სიარული.

აღსანიშნავია, რომ ყველა ოპერაციისთვის საჭირო ფული მორისმა სტრიპტიზ-ბარში მუშაობითა და სპეციალურ სერვერებზე ვებ-კამერის წინ გაშიშვლებით გამოიმუშავა, სადაც გოგონები ამისთვის ჰონორარებს იღებენ.

# მოცეკვავე გორილამ ინტერნეტი დაიპყრო




მოცეკვავე გორილამ ბრიტანეთის ზოოპარკიდან ინტერნეტი დაიპყრო. ვიდეორგოლმა, რომელიც ფეისბუქში გამოჩნდა, უკვე 1,7 მილიონამდე ნახვა მოაგროვა.

კლიპის გმირი სამი წლის გორილა, სახელად ლოპეა. ის თავისი საცეკვაო ოსტატობის და საბალეტო პირუეტების დემონსტრირებას ახდენს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გორილა ლესტერშირის ზოოპარკიდან თამაშითაა გატაცებული და სწორედ ამას ადასტურებს მისი სიყვარული „ცეკვის“ მიმართ. ზოოპარკის თანამშრომელთა მტკიცებით, ეს ყოველივე მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ახალგაზრდა გორილების ქცევაში.

# დაცხრილული კატა სასწაულებრივად გადარჩა



დიდ ბრიტანეთში შავი კატა სასწაულებრივად გადარჩა მას შემდეგ, რაც მას 30 ტყვია მოხვდა.

სამი წლის კის-კისი ბრიტანეთის ქალაქ არდლიში მდებარე თავისი სახლიდან აპრილში გაქრა.

– ჩვენ რაღაც სროლების ხმა გავიგონეთ, მაგრამ არ გვიფიქრია, რომ ეს რამენაირად ჩვენ კის-კისს უკავშირდებოდა, – განაცხადა კატის პატრონმა დუგ თოუმ.

ცხოველი მანქანის ქვეშ შეშინებული და დაჭრილი იპოვეს. თოუს თქმით, კის-კისი გაიქცა და მთელი კვირის მანძილზე მის პოვნას ვერ ახერხებდნენ. შემდეგ ის თავად მოხოხდა სახლამდე და პატრონებმა დახმარებისთვის ვეტერინარს მიმართეს.

რენტგენმა აჩვენა, რომ კატას 30 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. ცხოველებთან სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამეფო საზოგადოების ინსპექტორმა ადამ ჯონსმა ვეტერინარზე დაყრდნობით განაცხადა, რომ ორი ტყვია სულ მცირედით აცდა კის-კისის ხერხემალს და ამის წყალობით ის სასწაულებრივად გადარჩა.

# იაპონელებმა დიდპირიანი ზვიგენი დაიჭირეს



მეზღვაურებმა იაპონიის სანაპიროსთან უიშვიათესი ღრმა წყლების ბინადარი დიდპირიანი ზვიგენი დაიჭირეს.

ზვიგენი ბადეში მიეს პრეფექტურაში მდებარე პორტ ოვასედან ხუთ კილომეტრში გაება. ხუთი მეტრი სიგრძის ცხოველი თითქმის ერთ ტონას იწონის.

დიდპირიანი ზვიგენი ჰავაის კუნძულების მახლობლად 1976 წელს იქნა აღმოჩენილი. ისინი სამი ცნობილი ზვიგენის სახეობიდან ერთ-ერთს განეკუთვნებიან, რომლებიც პლანქტონით იკვებებიან და ადამიანისთვის საშიში არ არიან. მათ შეიძლება შეხვდეთ კალიფორნიის, იაპონიის კუნძულების, ფილიპინების, ინდონეზიის, სენეგალისა და ავსტრალიის დასავლეთ სანაპიროსთან.

აღსანიშნავია, რომ დიდპირიანი ზვიგენი დღეს ზღვაში დაახლოებით 150 მეტრის სიღრმეში ატარებს, ხოლო ღამით თითქმის ზედაპირამდე ამოდის. ამ სახეობის აღმოჩენიდან მოყოლებული სულ 60-მდე ეგზემპლარი იქნა აღმოჩენილი.

# ზოოპარკიდან გაქცეულმა შიმპანზემ ენერგოავარია მოაწყო



იაპონიის ქალაქ სენდაის ზოოპარკიდან გაიქცა შიმპანზე სახელად ჩაჩა. ის ელექტროგადამცემი ხაზების ბოძზე აძვრა და მავთულებზე ხტუნვას მოჰყვა. ცხოველის დასაჭერად დაწყებულ ოპერაციაში ათი მაშველი ჩაერთო.

შიმპანზეს დასაწყნარებლად, მაშველებს დასამშვიდებელი ნემსის სროლა დასჭირდათ. მას შემდეგ, რაც წამალმა იმოქმედა, ჩაჩას ზოოპარკში დაბრუნება შესაძლებელი გახდა.

იაპონური მას მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შიმპანზეს ქმედების შედეგად 1,8 ათასზე მეტი სახლი დროებით ელექტროენერგიის გარეშე დარჩა.

# კატა-მესაკუთრემ ახალი მიზანი შეარჩია



ცნობილმა იაპონურმა კატა-მესაკუთრემ სუძუმარომ ახალი სამიზნე შეარჩია. სოციალური ქსელების მომხმარებელთა საყვარელი ცხოველი განუწყვეტლივ ახდენს თავისი პატრონების ნივთების „ექსპროპრიაციას“. ამ ჯერადაც მან კიდევ ერთხელ ყველას უჩვენა, თუ ვინ არის უფროსი სახლში.

სუძუმაროს ახალ სამიზნედ ხელსახოცების ყუთი იქცა. ცხოველის პატრონის თქმით, კატა ყოველ ახალ ნივთზე წვება. ამის გამო მთელი ოჯახი იძულებული გახდა ხელსახოცები ტუალეტის ქაღალდით შეეცვალათ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ასტროპროგნოზი
## 19 აპრილისთვის



**ვერძი** – თუ აქტიურად დასვენება გადაწყვიტეთ, ნაცნობ-მეგობრებიც აიყოლიეთ. კარგად გაერთობით. წარმატება გელით სიყვარულში. **კურო** – ფულს შოულობთ. კარგი დღეა საყიდლებზე წასასვლელად. ნავაჭრი იღბლიანი იქნება. **ტყუპები** – ოპტიმისტურად ხართ განწყობილი, ჯანმრთელობაც ხელს გიწყობთ. მშვენიერი დღე გაქვთ წინ. **კირჩხიბი** – ნებისმიერი კომერციული აქტიურობა ფინანსური კრახით დასრულდება. არ გარისკოთ. მძიმე წუთებში ახლობლები დაგეხმარებიან. **ლომი** – თქვენი ჩანაფიქრის განხორციელებაში პლანეტები ხელს გიშლიან. მნიშვნელოვანი საქმეები სხვა დროისათვის გადადეთ. დღეს მხოლოდ წვრილმანებით დაკავდით. **ქალწული** – დღის პირველი ნახევარი კარგია ახალი ნაცნობების შეძენისა და ახალი ურთიერთობებისათვის. მიღებულმა ინფორმაციამ, შესაძლოა, თქვენს მომავალზე საკმაოდ დადებითი გავლენა იქონიოს. **სასწორი** – დღის პირველ ნახევარში ყოველგვარი კომერციული საქმიანობა გამორიცხეთ, პლანეტების არაკეთილისმყოფელი განლაგება ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. **ღრიანკალი** – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისაგან თავი შეიკავეთ. პროფესიულ საქმიანობაში აქტიურობა რეკომენდებული არ არის. **მშვილდოსანი** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. იაქტიურეთ. აუცილებლობის შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **თხის რქა** – შესაძლოა, დიდი ხნის უნახავ მეგობარს შეხვდეთ, რის შედეგადაც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი სასიამოვნო ცვლილება მოხდება. კარგი დღეა ახალი ბიზნესკავშირებისა და კონტრაქტებისათვის. **მერწყული** – ენერგეტიკულად მძლავრი დღეა. მოსალოდნელია კამათი გარშემომყოფებთან. პროვოკაციებს ნუ წამოეგებით. **თევზები** – ფინანსებს გაუფრთხილდით, ფულს იოლად ნუ დახარჯავთ, საყიდლებზე წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. დღეს, უმჯობესია, სახლში დარჩეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მარტვილის რაიონში; 2. მდინარე ვაშინგტონში; 3. იტალიის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 5. მოლდავეთის დედაქალაქი; 7. მონასტერი სტეფანწმინდის რაიონში; 9. სამგზავრო სარკინიგზო ვაგონის ერთ-ერთი ტიპი; 13. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 15. ნაკურთხი წყალი; 16. საჭმელი სოკო; 18. მუზეუმი ფლორენციაში.

**თარაზულად:** 4. ძველებური ქალის ხელჩანთა; 6. პირობითი სასჯელი; 8. სამთო ინჟინერი; 10. ყველაზე დიდი სახელმწიფო აფრიკაში მოსახლეობის რაოდენობით; 11. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 12. დანიელი არქიტექტორი, სიდნეის ოპერის თეატრის პროექტის ავტორი; 14. მანძილის საზომი ერთეული ინგლისსა და აშშ-ში; 17. საქართველოს ნაკრებისა და ჰოლანდიის „ვიტესის“ ფეხბურთელი; 19. ეთერზეთოვანი მცენარე, სურნელოვანი ყვავილი; 20. წყალმცენარეების შემსწავლელი ბოტანიკოსი; 21. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 22. უკულტურო, ველური ადამიანი; 23. რომის, არყის მწარმოებელი ამერიკული ფირმა.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 4. კიმონო; 5. მაჰაგონი; 6. მელია; 7. ლანცეტი; 8. აზრისი; 10. ნეირო; 13. გორილა; 15. ნეგუსი; 16. ტარო; 17. სარი; 20. უიპეტი; 21. ლოკალი; 22. ლაკმუსი; 23. იადონი.

**შვეულად:** 1. მორენგო; 2. კარბონატი; 3. მეცენატი; 4. კრაზანა; 5. მარალი; 9. სტუდია; 11. რეგრუსი; 12. მიკადო; 14. რაკურსი; 18. იანკი; 19. კევინ.

**სკანვორდის პასუხები:**

1. აფრა; 2. „სამაია“; 3. არტერია; 4. შტატივი; 5. ადანა; 6. თემა; 7. ნამგალი; 8. თუთია; 9. არკა; 10. მსახური; 11. აზიმოვი; 12. ლატარია; 13. სეზარ; 14. ანათემა; 15. არაგაცი; 16. ბალი; 17. მამიდა; 18. ამარეტო; 19. „ავატარი“; 20. მარლა; 21. ცერცვი; 22. ავარა; 23. მისია; 24. სტრომა; 25. კაა; 26. ჟერარ; 27. კორიდა; 28. ორატორია; 29. იდო; 30. რომ; 31. მორიკონე.

**სურათებზე:** მირანდა რიჩარდსონი; ივიცა ოლიჩი.

# თეონა კონტრიძემ იმიჯი შეიცვალა



რუსეთში მოღვაწე ქართველმა მომღერალმა თეონა კონტრიძემ იმიჯი შეიცვალა. სიახლე მან საკუთარ გულშემატკივრებს სოციალურ ქსელში გაუზიარა. მომღერალმა თმა კიდევ უფრო მოკლედ შეიჭრა, გაიმუქა და წონაშიც საგრძნობლად დაიკლო.

თეონას ახალმა იმიჯმა და ფოტოებმა ინტერნეტში დიდი მოწონება დაიმსახურა, თავად მომღერალმა კი ყველას მოუწოდა, არასდროს შეუშინდნენ ცვლილებებსა და ექსპერიმენტებს:

– შეიცვალეთ და იყავით ბედნიერები!

# თაკო ნაცვლიშვილი მექსიკურ კოსმოპოლიტენში მოხვდა




ქართველი მოდელი, 17 წლის თაკო ნაცვლიშვილი წარმატებით აგრძელებს მსოფლიო სამოდელო კარიერას. თაკო პარიზის, ნიუ იორკის, მილანის მოდის კვირეულების მონაწილეა და პოდიუმზე წარადგენს მსოფლიოში ცნობილი ბრენდების ახალ კოლექციებს.

თაკოს მისი უცხოური სააგენტო ვიქტორია სეკრეტისთვის ამზადებს, სადაც მოდელს 18 წლიდან შეეძლება შესარჩევ ტურში მონაწილეობა.

ამჟამად თაკო არმანის სახეა და მისი ფოტოები არმანის მაღაზიებში უზარმაზარ ფორმატშია გამოფენილი. დონატელა ვერსაჩეს, არმანის, დიორის, დოლჩე და გაბანას, ზუჰაირ მურადის კოლექციები თაკოსთვის კარგად არის ცნობილი. ზუჰაირ მურადმა თაკო თავისი საქორწილო კაბების ფოტოსესიაში მიიწვია და მთავარ მოდელად დაასახელა.

მაღალი მოდის კვირეულებში მონაწილეობის პარალელურად, თაკო ფოტოსესიებითაც არის დაკავებული. ამჟამად თაკო ნაცვლიშვილმა მექსიკური კოსმოპოლიტანის ახალი ნომრის ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. ჟურნალში ქართველი ლამაზმანის ფოტოები მრავლად განთავსდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# ქართველი მხატვარი 21 რჩეულს შორის მოხვდა



24 წლის ქართველი მხატვარი ლევან სონღულაშვილი, რომლის „მედუზაც“ სოთბის აუქციონზე სოლიდურ ფასად გაიყიდა, 21 რჩეულ მხატვარს შორის მოხვდა.

ბრუკლინის ხელოვნების მუზეუმმა და ცნობილმა ბრიტანელმა კონცეპტუალისტმა არტისტმა ჯერემი დელერმა უჩვეულო და ღირსშესანიშნავი პროექტი განახორციელეს, რაც მსოფლიოს წამყვან მედია საშუალებებში მთავარ თემად იქცა და საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა.

68 წლის ამერიკელი ვარსკვლავი, როკის ცოცხალი ლეგენდა იგი პოპი, 21 რჩეული მხატვრის წინაშე სრულიად შიშველი წარდგა, რომლის სხეულიც იმ დღეს ვიზუალური ხელოვნების ქმნილებებად იქცა.

მხატვრებისგან შემდგარი ჯგუფი 19-დან 80 წლის ასაკამდე მხატვრებით დაკომპლექტდა, სადაც ყოველი მათგანი ერთმანეთისგან შემოქმედებითად განსხვავებული იყო. პროექტის ორგანიზატორებს მხატვრებზე რეკომენდაციებს ამერიკის ცნობილი სახელოვნებო უნივერსიტეტების სახელგანთქმული პროფესორები უწევდნენ.

დიდი კონკურენციის ფონზე, ბრუკლინის ხელოვნების მუზეუმის კურატორებმა და ჯერემი დელერმა აშშ-ში მოღვაწე მხატვრებიდან 21 რჩეული არტისტი გამოავლინეს, რომელთა შორის 24 წლის ქართველი მხატვარი ლევან სონღულაშვილიც აღმოჩნდა.

ლევანი ქართული საზოგადოებისთვის მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც მისი ნამუშევარი „მედუზა“ სოთბის აუქციონზე სოლიდურ ფასად გაიყიდა.

პროექტის ფარგლებში ლევან სონღულაშვილის მიერ შექმნილი ნამუშევრები ბრუკლინის მუზეუმის წარმომადგენლების, პროექტის ორგანიზატორების, თავად ჯერემი დელერისა და იგი პოპის ყურადღების ცენტრში მოექცა.

ბრუკლინის მუზეუმის კურატორმა და ექსპოზიციებისა და კოლექციების მართვის ვიცე-დირექტორმა შერონ მეთ ატკინსმა განმარტა:

– ჩვენთვის დიდი სიამოვნება იყო ლევანთან ერთად ამ პროექტზე მუშაობა. მან განსაკუთრებული ნამუშევრები შექმნა და თავი მაღალპროფესიონალურად წარმოაჩინა.

ლევან სონღულაშვილის მიერ შექმნილი ნამუშევრები უკვე ბრუკლინის ხელოვნების მუზეუმის საკუთრებაშია.

ფართო საზოგადოებას ამერიკელი როკ ვარსკვლავისა და ლევან სონღულაშვილის მიერ შექმნილი ნახატების ხილვის საშუალება დანარჩენ ექსპონატებთან ერთად, ნიუ-იორკში, ბრუკლინის ხელოვნების მუზეუმში, 2016 წლის შემოდგომაზე მიეცემა, სადაც მასშტაბური გამოფენისთვის მზადება მიმდინარეობს.

ორგანიზატორთა განცხადებით, ნიუ-იორკის შემდეგ, აღნიშნული გამოფენა აშშ-ს სხვა ქალაქების მუზეუმებსა და გალერეებშიც იმოგზაურებს.

# რობერტ სტურუას ქუთაისში ელოდებიან



რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს ქუთაისში ელოდებიან. 19 აპრილს თეატრი მისი სპექტაკლით „ასულნი“ ქუთათურებს ეწვევა და სპეციალურ წარმოდგენას გამართავს.

ეს არის ფანტაზია პოლიკარპე კაკაბაძის პიესების მიხედვით, რომლის კომპოზიტორიც გია ყანჩელია, მხატვარი ანა ნინუა, ქორეოგრაფი მარიამ ალექსიძე, მუსიკალური გამფორმებელი კი ია საკანდელიძე. სპექტაკლში მონაწილეობენ ნინო არსენიშვილი, მანანა გამცემლიძე, თათული დოლიძე, მარინა კახიანი, ზაზა ლებანიძე, ნანა ლორთქიფანიძე, ეკა მინდიაშვილი, მარიკა ჭიჭინაძე, დარეჯან ხარშილაძე, მარინა ჯანაშია.

დამონებული ასულები მხსნელს ელიან. ერთფეროვან შრომაში ულიმლამოდ გადის დღეები, წლები... თუმცა იმედი ჯერ საბოლოოდ არ გამქრალა. დროდადრო გამოჩნდებიან ხოლმე „მხსნელები“, რომლებიც მათ თავისუფლებასა და ბედნიერ ცხოვრებას, „ოქროს ყანებს“ ჰპირდებიან, მაგრამ მათი დაპირებები, სამწუხაროდ, სიცრუეა. ასულთა ბედი არავის ადარდებს.

## სპორტი

# საქართველომ 4 ოლიმპიური ლიცენზია დაიმატა




ქართველმა სპორტსმენებმა რიო დე ჟანეიროში გასამართ ოლიმპიურ თამაშებს კიდევ 4 ლიცენზია შემატეს.

აღსანიშნავია, რომ ქართველი მოფარიკავე ოცწლიანი შესვენების შემდეგ იასპარეზებს ოლიმპიურ თამაშებში – რიო 2016-ის ლიცენზია სანდრო ბაზაძემ ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში მოიპოვა.

ევროპის ბოლო საკვალიფიკაციო ტურნირს პრაღამ უმასპინძლა, რომელსაც ევროპიდან ვაჟთა და გოგონათა შორის რიოს წლევანდელი თამაშების 6-6 ლიცენზიანტი უნდა გამოევლინა. სანდრო ბაზაძემ ჯგუფში ზედიზედ დაამარცხა თურქი ენვერ ილდირიმი (5:1), მოლდოველი ნიკოლაი ზაპოროჟენკო (5:1), სერბი მარიკო კაიჯიჩი (5:1) და ხორვატი იოსიპ ბრაიდიჩი (5:0).

პლეიოფის პირველ ეტაპზე სანდრომ ესპანელ ფერნანდო კასარესს სძლია (15:7), მეოთხედფინალში კი ისრაელის წარმომადგენელი კონსტანტინ ვორონოვი დაამარცხა (15:12) და მასთან ჯგუფში 3:5 წაგებისთვის რევანში აიღო. ნახევარფინალში გასვლამ სანდროს ოლიმპიური ლიცენზია მოუტანა!

1996 წელს, ატლანტაში გამოსული არჩილ ლორთქიფანიძის შემდეგ სანდრო ბაზაძე პირველი ქართველი მოფარიკავეა, რომელიც ოლიმპიადაზე იასპარეზებს.

შეგახსენებთ: ქართველ მოფარიკავეთა აქტივში ორი ოლიმპიური ოქრო და ბრინჯაოა: ჩემპიონები ნუგზარ ასათიანი (1964) და ვლადიმერ აფციაური (1988) გახდნენ, გურამ კოსტავამ კი რომის და ტოკიოს ოლიმპიადებზე პირადსა და გუნდურში ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

სხვა ლიცენზიები საქართველოს მოჭიდავეებმა შემატეს: ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე შმაგი ბოლქვაძემ (66 კგ) რიოს ლიცენზია სერბეთის ქალაქ ზრენიანინში დაისაკუთრა.

ქართველმა ფალავანმა ნორვეგიელი თომესენი (6:0), ბულგარელი ივანოვიჩი (9:0) და პოლონელი კარეჩინსკი (5:0) დაამარცხა. ფინალში კი უნგრელ ტამას ლორინცს დაუპირისპირდა და 1:6 დამარცხდა.

ბოლქვაძის შემდეგ მოჭიდავეთა ნაკრებებს კიდევ 2 ლიცენზია მოუტანეს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ზურაბ დათუნაშვილმა (75 კგ) და თავისუფალი სტილით მოჭიდავე იაკობ მაქარაშვილმა (74 კგ).

დათუნაშვილმა ბულგარელი ილიან ტოდოროვ გეორგიევი (3:2), თურქი ემრაჰ სულეიმან კუში (3:1) და სომეხი კარაპეტ ჩალიანი (2:1) დაამარცხა და ფინალში სერბ ვიქტორ ნემეშს უნდა გაჯიბრებოდა, მაგრამ ტრავმის გამო ხალიჩაზე არ გავიდა და ოქრო მეტოქეს დაუთმო, თუმცა მთავარი – რიოს ოლიმპიური თამაშების საგზური დაისაკუთრა.

მაქარაშვილმა აჯობა ბერძენ ალექსანდროს სამანიდისს (10:0), გერმანელ მარტინ ობსტისას (7:6) და ესპანეთის სახელით მოჭიდავე ტაიმურაზ ფრიევ ნასკიდაევას (12:8). ფინალში აზერბაიჯანელ ჯაბრაილ ჰასანოვს დაეჭიდა და უშანსოდ 0:11 დამარცხდა, თუმცა დათუნაშვილის მსგავსად, რიოს ლიცენზია მანაც მიიღო.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ედინ ჯეკო რომადან მიდის




რომას ბოსნიელი ფორვარდი ედინ ჯეკო სავარაუდოდ ზაფხულში გუნდს დატოვებს. რომას ხელმძღვანელობა მისი თამაშით უკმაყოფილოა, რადგან ჯეკო ბევრ ხელსაყრელ მომენტს ვერ იყენებს. 28 შეხვედრაში ჯეკოს ანგარიშზე მხოლოდ 8 გატანილი გოლია. ბოსნიელი ფორვარდი ალბათ ინგლისში დაბრუნდება, რადგან მისი შეძენით ვესტ ჰემია დაინტერესებული.

ჯეკომ სახელი სწორედ პრემიერ ლიგაში გაითქვა, როდესაც მანჩესტერ სიტის ღირსებას იცავდა. რამდენიმე სეზონის მანძილზე ის მანჩესტერელების წამყვანი ფორვარდი იყო, თუმცა რაღაც პერიოდის შემდეგ მან ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა, რის გამოც მანჩესტერ სიტის გამოემშვიდობა.

# დორტმუნდის ბორუსიას ლუკაკოს შეძენა სურს




დორტმუნდის ბორუსია ევერტონის ბელგიელი ფორვარდის, რომელუ ლუკაკუს შეძენით არის დაინტერესებული.

გერმანელები ლუკაკუში საკმაოდ სოლიდურ თანხას, 35 მილიონ ევროს ჩამოდიან. სავარაუდოდ, ევერტონი ამ მაცდურ წინადადებაზე უარს არ იტყვის. ბორუსია გუნდოგანის გაყიდვას აპირებს და ამ ტრანსფერში აღებულ თანხას სწორედ ლუკაკუში დახარჯავს.

ბელგიელი ფორვარდი მაღალი შედეგიანობით გამოირჩევა და მის ანგარიშზე ინგლისის ჩემპიონატში 18 გატანილი გოლია.

მიუხედავად ასეთი შედეგიანობისა, ლუკაკუს ევერტონი სატურნირო ცხრილში მხოლოდ მე-11 პოზიციას იკავებს.

# პასტორე შეიძლება ჩელსიში გადავიდეს



პსჟ-ს არგენტინელი ნახევარმცველი ხავიერ პასტორე უკმაყოფილოა იმით, რომ მას მცირე სათამაშო დრო ეძლევა, ამიტომ ის პარიზული კლუბის დატოვებას აპირებს. პასტორეს ბევრი მსურველი ჰყავს, მაგრამ ყველაზე რეალური მისი ჩელსიში ტრანსფერია, რადგან ჩელსის მომავალ მთავარ მწვრთნელს ანტონიო კონტეს მისი შეძენის დიდი სურვილი აქვს.

როგორც ინგლისური პრესა იტყობინება პსჟ-ს და ჩელსის შორის უკვე დაიწყო მოლაპარაკება პასტორეს ტრანსფერთან დაკავშირებით.

პასტორე პსჟ-ში 2011 წლიდან თამაშობს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## პროგრამა

სამშაბათი
19 აპრილი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 23.00 ტ/სერ "**ამერიკული ოდისეა**" 12.30 "გურმანია" 13.00 ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "დღე მუზეუმში" 14.30 ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 15.00 დ/ფ "ორი გაუმაძღარი იტალიელი" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.40 "ცხოვრება ციფრებში" 21.10 თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 22.00 დ/ფ "თოფ-გიარი" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**გულები**" 03.20 "პირადი ექიმი" 04.10 "კომუნიკატორი" 22.00 ჩემპიონთა ლიგის წინასამატჩო გადაცემა. 22.40 **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა 1/4 ფინალური მატჩი.

08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.10 "აფხაზეთი" 11.00 დ/ფ "დანიელ ბურენი გრან პალეში" 13.00 დ/ფ "კრისტიან ბოლტანსკის შესაძლო ცხოვრებები" 14.00, 16.00 დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.10 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ბამბის ველი**" 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 12.30 დღის შოუ 16.00 სერ. "**თანხმობა**" 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ელიფი**" 22.00 ცოდნა ფულია 23.20 გრიფით საიდუმლო 23.45 მხ/ფ "**მეგობრის საქმრო**" 01.40 მხ/ფ "**სიყვარული და ღირსება**" 03.25 მხ/ფ "**ძაღლების ამბავი**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.45, 20.05 სერ. "**აღთქმა**" 20.50 ლოტო 22.00 არჩევანი 23.30, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

GDS

8.30 ან/სერ. "**ავატარი - ჰაერის უკანასკნელი მბრძანებელი**" 9.00, 19.30 სერ. "**მენტალისტი**" 10.00, 18.30 სერ. "**კარგი ცოლი**" 11.00 სერ. "**გრეის ანატომია**" 13.00 სერ. "**ძვლები**" 15.00, 2.50 შუადღე 17.30 ცოლები და ქმრები 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.30 20.30 22.30 მხ/ფ "**კარგი შვილი**" 0.05 ID Extra - მოჩვენებებით შეპყრობილი 1.05 URBAN STORIES 1.45 ჯიდიპედია

06.10 სპექტაკლი "**სიმღერა კორნეტ ქრისტოფ რილკეს**" 07.55 საქართველოს სამართლის ისტორია 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 პატერიკი 10.40 პლანეტა დედამიწა "მტკნარი წყლები" 11.10 თაობა ზეტი 11.30 ბზობის კვირის საწინასწარმეტყველო 11.40 საეკლესიო აღმშენებლობა 12.10 მხ/ფ "**წინაპართა მიწა**" 13.30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14.30 დეკორატიული ფლორა "ქრიზანტემა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართ. ან/ფ 15.30 ველური ბუნება "ავსტრალიის ჩრდილოეთში და დასავლეთი ნაწილი" 16.00 დ/ფ "სამონეტო ლეგენდები" 16.30 კლასიკა 17.15 სიბრძნისმეტყველება 17.25 აქტუალური თემა "სასოწარკვეთილება" 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 სჯანი 19.50 ღია აუდიტორია 20.30 კვირიაკის სიუჟეტი 20.40 ძილი ნებისა "გვირილა" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 დ/ფ 00.30 ერთსულოვნების სალონი 01.00 შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05 სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30 დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" 14.05, 1.00 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 დოკ/სერ. "მსოფლიო საუკეთესო სახლები" 16.05, 17.05 სერ. "**კარმელიტა**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05, 2.30 სერ. "**ორსულობის ტესტი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**ეკატერინა**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 22.30 სერ. "**მიშკა იაპონჩიკი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**19 აპრილისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.2519 | ევრო — 2.5392 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1950 | 100 რუსული რუბლი — 3.3933 |

## ამინდის პროგნოზი 19 აპრილისთვის







# 19 აპრილიდან

## ერიხ მარია რემარკი

## სამი მეგობარი

გაზეთისა და წიგნის ფასი 12 ლარი










## გაზეთი „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ

## წიგნებს მაცხოვრის შესახებ ბავშვებისთვის

შედგენილს არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის მიხედვით

25 მარტიდან — იესო ქრისტეს შობა
1 აპრილიდან — იესო ქრისტეს ნათლისღება
8 აპრილიდან — იესო ქრისტეს პირველი მოწაფეები
15 აპრილიდან — იესო ქრისტეს სასწაულები
22 აპრილიდან — საიდუმლო სერობა
29 აპრილიდან — იესო ქრისტეს აღდგომა

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი










# 21 აპრილიდან

## ქარი ტირიფებში

კენეთ გრემი

გვერდების რაოდენობა — 224
ფერადი ილუსტრირებული გამოცემა
ყდა — მაგარი

**გაზეთის და წიგნის ფასი 12 ლარი**




# ედენ აზარი ჩელსის არ დატოვებს



ჩელსის ერთ-ერთი ლიდერი ედენ აზარი ზაფხულში ლონდონური გუნდის დატოვებას არ აპირებს.

როგორც ინგლისურ პრესაში წერენ, აზარმა ამის შესახებ ჩელსის მომავალ მთავარ მწვრთნელს, ანტონიო კონტესაც აცნობა.

ბელგიელი ფეხბურთელი წელს ძალიან ცუდ სეზონს ატარებს. პრემიერ ლიგაში მან ვერცერთი გოლის გატანა ვერ შეძლო. მიუხედავად ამისა, აზარის მიმართ მაინც დიდ ინტერესს იჩენენ სხვადასხვა გრანდები და მისი რეალში გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი ამბავი იყო.

რეალის გარდა, აზარის გადაბირება პსჟ-საც სურდა.

2014/15 წლების სეზონის შემდეგ აზარი პრემიერ ლიგის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, მაგრამ წელს აზარს, ისევე როგორც ჩელსის, არაფერი გამოსდის.



## კალეიდოსკოპი

# მერილინ მონროს კაბა აუქციონზეა გამოტანილი



ჰოლივუდის მსახიობის მერილინ მონროს ცნობილი კაბა აუქციონზე გასაყიდადაა გამოტანილი. საუბარია მსახიობის მსოფლიოში ყველაზე დიდი ნივთების კერძო კოლექციაზე. მისი ფასი, ექსპერტების შეფასებით, 3 მილიონ დოლარს შეადგენს.

მაგალითად, კოლექციაში შედის მონროს ტანსაცმელი ფილმებიდან „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან“, „ავტობუსის გაჩერება“ და „არ არსებობს ისეთი ბიზნესი, როგორიც შოუ-ბიზნესია“, ასევე პოსტერები, საიუველირო სამკაულები და პირადი ნივთები.

კოლექციას აუქციონის სახლი ჟულიენს აუქციონში გაყიდის, ხოლო თავად ვაჭრობა 19 ნოემბერს ლოს-ანჯელესში გაიმართება.

2016 წელს ლეგენდარული მსახიობი 90 წლის გახდებოდა.

# კეიტ მიდლტონი და დრიუ ბერიმორი ერთნაირი კაბებით იწონებენ თავს



კემბრიჯის ჰერცოგინია კეტრინი და ჰოლივუდის მსახიობი დრიუ ბერიმორი ერთსა და იმავე დღეს საზოგადოებაში ერთნაირი კაბებით გამოჩნდნენ.

ბერიმორი ნიუ-იორკში ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობის მოწინააღმდეგე ამერიკული საზოგადოების მიერ მოწყობილ ბალზე გამოჩნდა. მსახიობს ცხოველთა დაცვის საქმეში შეტანილი წვლილისთვის პრემია გადაეცა.

იმავე დღეს პრინც უილიამის მეუღლე კეტრინი ბუტანის მეფის მიერ მოწყობილ დახურულ სადილს დაესწრო.

საზოგადოებაში გამოსასვლელად მსახიობმაც და ჰერცოგინიამაც დიზაინერ ტორი ბერჩის კაბა აირჩიეს, რომლის ღირებულება 1,5 ათას დოლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ორივე ბრწყინვალედ გამოიყურებოდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



## იუმორი

•••

სოფლელს თბილისიდან გაუთხოვარი ცოლისდები ესტუმრნენ. ცოლის თხოვნით ყველანი ურეკში წაიყვანა. ქალები საბანაოდ ჩავიდნენ ზღვაში, კაცი კი იქვე პლაჟზე წამოწვა. დასცხა და წყალი მოსწყურდა. კაცმა ხელი ერთ-ერთი ცოლისდის ჩანთაში ჩაყო, იქნებ წყალი ჰქონდეს ბოთლითო და ხელთ ვიბრატორი მოჰყვა. ახლა მეორე ცოლისდის ჩანთაში ჩაყო ხელი და იქაც იგივე იპოვა. აილო ორივე და გვერდით მოიწყო. ამ დროს ნაცნობმა ჩამოიარა, მიესალმა და ეკითხება:

— რას შვრები, რას აკეთებ?

— არაფერს, აგერ მე და ჩემი ქვისლები მზეზე ვირუჯებით...

•••

გვიანი ღამეა. ცოლი ქმარს აღვიძებს:

— საყვარელო, ჩქარა, გაიღვიძე.

— ძვირფასო, ღამის სამი საათია, რა მოხდა?

— თავის ტკივილმა გაგიარა?

•••

ასაკოვან მამაკაცს ქალს ურიგებენ. გააცნეს და ახლობლები ეკითხებიან:

— მოგწონს?

— რა ვიცი, აბა, ეგრე როგორ შევაფასო, აი, რო გაიხდიდეს...

ახლობლებმა ბევრი იჩურჩულეს, ბოლოს, როგორც იქნა, გოგონა დაარწმუნეს, გაეხადა.

— აბა, ახლა რას იტყვი, მოგეწონა?

— არა, მაგას არ შავირთავ!

— რათა, კაცო?

— ალერსიანი თვალები არ აქვს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ლუის ენრიკეს თავდაჯერებულობა არ დაუკარგავს



ბარსელონას ძალიან რთული პერიოდი აქვს.

კატალონიურმა გუნდმა 2003 წლის შემდეგ პირველად წააგო 3 თამაში ზედიზედ ესპანეთის ჩემპიონატში.

მიუხედავად ამისა, ბარსელონა მაინც ლიდერია პირველობის დასრულებამდე 5 ტურით ადრე, მისი მთავარი მწვრთნელი ლუის ენრიკე კი თავდაჯერებულობას არ კარგავს.

— ვალენსიასთან საშინლად არ გაგვიმართლა და ამ თამაშის მოგებას ვიმსახურებდით. ბოლო შეხვედრებში ცუდად არ ვთამაშობთ, მაგრამ იღბალმა ზურგი გვაქცია. ვალენსია ყველა ასპექტში დავჯაბნეთ, მაგრამ ჩვენთვის ყველაფერი ცუდად დასრულდა. წინ 5 თამაშია, რომლებიც აუცილებლად უნდა მოვიგოთ, — განაცხადა ლუის ენრიკემ.

მომდევნო შეხვედრას ბარსელონა 20 აპრილს სტუმრად დეპორტივოსთან გამართავს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ყირგიზეთის დედაქალაქი; 2. თიხის მოხატული და მოჭიქული ჭურჭელი; 3. გარდაბნის ძველი სახელწოდება; 4. იაპონელი მოდელიორი; 5. სამეფო საგვარეულო; 8. ნეფე-დედოფლის მხლებლები ქორწილში; 12. პატარა კოტეჯი შვეიცარიის ალპებში; 13. ჭადრაკის პარტიის დასკვნითი ნაწილი; 14. უბანი თბილისში; 16. მარცვლეული კულტურა; 18. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 20. სასულე ორკესტრის მიერ შესრულებული მოკლე მუსიკალური მისალმება.

**თარაზულად:** 6. ძმრით, ფქვილით, ხახვითა და ათქვეფილი კვერცხით მომზადებული მოხარშული ქათმის წვნიანი კერძი; 7. ამერიკელი მწერალი რომან „ფინანსისტის“ ავტორი; 8. მთა თბილისში; 9. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება ბიჭვინთაში; 10. წითელი ფერის მშრალი ქართული სამარკო ღვინო; 11. კოსოვოს დედაქალაქი; 15. მონაჭორი ვინმეს სახელის გასატეხად, ცილისწამება; 17. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 19. ორკუზიანი აქლემი; 21. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 22. სოკოების შემსწავლელი ბოტანიკის ნაწილი; 23. სოფელთა სახელწოდება შუა აზიაში.



**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**